ბრძოლა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 3 ფრ.] პარიზი, მარტი 1926. № 9. Paris, Mars 1926. [Prix 3 Fr.

1725
1926

ნაციონალური სოციალიზმი.

რუსეთის კომპარტიის დიდი გემი, მრავალ გზით დაზიანებული და გვარიანათ მინგრეულ-მონგრეული, როგორც იყო მიიდგა თავის საკუთარ ნავთსაყუდარს. მან ოფიციალურათ აღმართა იალქანი რუსული, ნაციონალური სოციალიზმისა და მის ქვეშ საბოლოოთ დაისადგურა. ქვეული, დრომოპმული სლავიანოფილურ-ნაროდნიკული დოქტრინა ახლა ალიარებულია რუსეთის სახელმწიფო დოქტრინათ და მასზე იგება საბჭოთა საქმიანობა. პარტიის მე-14 ყრილობამ ის აკუთხა და კეთილმორწმუნეთა წმინდა სახარებათ გამოაცხადა. თუ წინეთ რუსეთი დასავლეთს ეპირდაპირებოდა თავისი «ობშინური» სოციალიზმით და მას ეკუთს ასწავლიდა, ახლა ის მას ეპირდაპირება ნეპური სოციალიზმით და იმავე ეკუთს სწავლებას განაგრძობს. სინათლე მოდის აღმოსავლეთიდან; დასავლეთიდან იქ მიდიან მხოლოდ მხამბარეული ეტუშმარიტების მისაღებათ და ახალ მოვლენილ მესიათა სადიდებლათ. რუსეთის მესიანობა მკვდრეთით აღდგა და კომუნისტურ სამოსელში გამოცხადდა. მოხდა მისი მეორეთ გამოჩინება და «ჩამორჩენილ» ევროპის კიდევ ერთხელ «შეტცხვენა». მართალია, მსოფლიომ არ იწამა მოსკოვის სარწმუნოება, მარა მით უარესი მისთვის; მოსკოვი ალარ საჭიროებს ამას, ის შინაური საშუალებებითაც იოლათ მიდის და თავისი «მიღწევებით» ქვეყანას აშტერებს. ერთი სიტყვით, ნაციონალური სოციალიზმის დროშა კრემლზე ფრიალებს და განცვიფრებული ერი მას სასოებით შეყურებს.

რა სწერია ამ დროშაზე, რა კეთდება მის ირგვლივ?

კომპარტია თავის უკანასკნელი ყრილობის რეზოლიუციაში გვაუწყებს: «ჩვენ ქვეყანას, ქვეყანას პროლეტარიატის დიქტატურისა, აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლათ... სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობა უფრო და უფრო ხდება მეთაური მთელი სახალხო მეურნეობისა», ხოლო «ვისაც არ სჯერა სოციალიზმის აშენების საქმე ჩვენს ქვეყანაში და მიაჩნია ჩვენი წმინდა სოციალისტური ტიპის სამრეწველო დაწესებულებანი სახელმწიფო კაპიტალისტურ წარმოებათ, აი ამ ურწმუნოთ უნდა გამოეცხადოს ბრძოლა.»

რუსეთს აქვს «ყველაფერი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლათ», ევროპას ის, რასაკვირველია, არ აქვს და ამიტომ ის რუსეთს უნდა მისჩანჩალებდეს. მარა ეს ხომ ბოლშევიკების პირველათ არ უთქვამთ, ისინი მხოლოდ სიტყვა-სიტყვით იმეორებენ იმას, რაც იწერებოდა და იქადაგებოდა მას ქამსა შინა. გასული საუკუნის მესამოცეკ წლებიდან რუსეთს უკვე «ყველაფერი აქვს» სოციალიზმის განსახორციელებლათ, საკმარისია ერთი კარგი დაკვრა ცენტრში, რომ კომუნიზმი უეჭველათ დამკვიდრდეს. ბოლშევიკებმა პოლიტიკური ამოცანა შეასრულეს, ძალა-უფლება ხელთ იგდეს, ახლა ასრულებენ ეკონომიურ ამოცანას, სოციალიზმს ამყარებენ. ქვეული იდეოლოგია, ქვეული პროგრამა. ბოლშევიზმი აშკარათ გამოეთიშა ინტერნაციონალურ სოციალიზმს და უნიღაბთ ჩადგა რუსულ უტოპიურ სოციალიზმის კალაპოტში. მის პოლიტიკურ და ეკონომიურ განკეთებოებს ზედ დაერთო იდეოლოგიური განკეთებებაც. რუსული ნაციონალური სოციალიზმი ჩამოყალიბდა. მისი თავარი ნიშნობლივი თვისებაა პოლიტიკური მომენტი, სამართველო აპარატი, რომელსაც შეუძლია თურმე დაამკვიდროს ახალი საწარმოო ფორმები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბუხარინი ამბობს:

«ბურჟუაზიულ ქვეყნებში აგრარიულ რევოლიუციის შემდეგ მეტათ სწრაფათ ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა. მაგრამ ჩვენში არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც არის არა მარტო სახელმწიფო ძალა, არამედ უშველებელი სამეურნეო მეშტიც. პროლეტარიატის დიქტატურას შეაქვს ისეთი «შესწორება» ეკონომიურ განვითარების მსვლელობაში, რომელიც საგრძნობლათ ცვლის ამ განვითარების მთელ მსვლელობას.» *)

როგორც ხედავთ, აქ ახრთა ძაფი ასეთია: აგრარიული რევოლიუციის შედეგია ევროპაში კაპიტალიზმი, რუსეთში კი სოციალიზმი. ასეთ დიდ განსხვავებას ეკონომიურ სტატიათა შორის იწვევს ერთი გარემოება—რუსეთში ძალაფფლების «პროლეტარიატის» ანუ, სინამდვილეში, კომუნისტების ხელში გადასვლა. ე. ი. პოლიციურ ძალას შეუძლია ხალხი გადაახტუნოს კაპიტალიზმის ფაზას და პირდაპირ სოციალიზმის სამეფოში შეიყვანოს. ამით ფილი ისტორიული მატერიალიზმი, ევოლიუციონიზმი და მარქსიზმი დაგმობილია და რაციონალიზმი და იდეალიზმი აღდგენილია. საზოგადოება აღარ ექვემდებარება ულმობელ კანონს ეკონომიური განვითარებისა, სხვადასხვა საფეხურების განვლის აუცილებლობას. საკმარისია ამ პროცესში ჩაერიო კარგათ მოქნეული ხმალით, რომ ის ერთიანათ თავდაყირა დატრიალოს, აუცილებლობა გაიუქმო და უდაბლესი საფეხურიდან პირდაპირ უმაღლესზე გადახტე. ქვეყნ მრავალჯერ დამარხული სუბიექტივიზმი და ბაკუნინზი კიდევ ერთხელ გაცოცხლდა ბოლშევიზმის სახით.

ამნაირათ, ბოლშევიკების ნაციონალური სოციალიზმი, «სოციალიზმი ერთი ქვეყნის» წმინდა პოლიციური სოციალიზმია. მთავრობის ეკონომიური ჰეპპან-წყვეტაა, ნიშეტნე დაფუძნებული სოციალური შენობაა. რუსეთის მთავრობის ასეთი სასწაულთმოქმედება არ გამოუგონია ბოლშევიკებს, არც მათ წინაპარ ნაროდნიკებს; არა, ეს სიბრძნე პირველათ აუწყა პრუსიის მოხელემ ჰაკსტჰაუზენმა, რომელმაც მეორმოცე წლებში რუსეთში იმოგზაურა და იქ ობშინა აღმოაჩინა. მართალია ის არ იყო სოციალისტი, პირიქითა, პირწავარდნილი მონარქისტი. მარა ამას მისთვის ოდნავეთ არ დაუშლია ექადაგა «სოციალური რუსეთი» და მიეცა მოძღვრება ნაროდნიკ-ბოლშევიკებისათვის. რუსეთის ინტელიგენციამ ამ პრუსიელისაგან გიგო პირველათ თავის სამშობლოში სამთვის—ობშინის—არსებობა და საზოგადოთ, რუსეთის «უფრო ახლო ყოფნა სოციალიზმთან», ვინემ ევროპის. ავტორი სწერს თავის წიგნში «რუსეთზე» (1847 წ.) სხვათა შორის შემდეგს:

«რუსეთში შემოიღეს დასავლეთ-ევროპისებური კერძო ფაბრიკები, წინააღმდეგ ნაციონალური საფაბრიკო ასოციაციებისა. მთავრობამ იმის მაგიერ რომ ბლეზები წაქეზოს, წარმართოს და გააუმჯობესებიოს ნაციონალური სამრეწველო ასოციაცია, აიძულა ახნაურობა შემოეღო სახელგარეგნული ფაბრიკა და გადაქცეულიყო ფაბრიკანტებათ. რუსის ხალხი მეტათ მორჩილი და მოშმენელია. ასეთ ხალხთან ადვილია შექმნა მაგ. ბამბეულის ფაბრიკაკი სახელმწიფო ბლეზებისაგან. ფაბრიკის ტეხნიკები და გამგეები ხომ მაინც ინგლისიდან და გერმანიიდან მოდიან... რუსეთისათვის არ არის აუცილებელი ევროპიულ საფაბრიკო სისტემის შემოღება.» **)

ახრი ნათელია: რუსის ხალხი მორჩილია, მთავრობას შეუძლია ის ჩაბაას ამა თუ იმ ეკონომიურ სისტემაში თავის სურვილისამებრ; მაშასადამე მას შეუძლია კერძო კაპიტალისტური წარმოების ალაგას შემოიღოს ნაციონალური წარმოება მომუშავეთა ასოციაციის ნიადაგზე. აი მთელი ეს პრუსიულ-პოლიციური სოციოლოგია გახდა იდეიური საღარო დამარცხებულ ნაროდნიკების და გამარჯვებულ ბოლშევიკების. ბუხარინი ჰაკსტჰაუზენის ღირსეული მემკვიდრეა. საბჭოთა მთავრობა გულმოდგინეთ ასრულებს პრუსიელი მოხელის პროგრამას. მან გაიქმნა ევროპიული ფაბრიკა, თავის ხელში დააგროვა მთელი სხვილი მრეწველობა, გაიჩაღა სახელმწიფო ფაბრიკაკია, მორჩილ ხალხს თავს მოახვია თავისი ნაციონალური ეკონომიკა—ერთი სიტყვით ჰაკსტჰაუზენის ოცნებასაც კი გადაეჯარბა. კაპიტალიზმის «ქვაბი» დამსხვრეულია, რუსის მუეიკი სოფლიდან პირდაპირ შედის სოციალიზმის ალთქმულ ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში ყურით ექაჩავებიან ამ გზაზე და თუ არ გაყვა, ვაი მისი ბრალი,

*) ბუხარინის «სამი სიტყვა», გვ. მე-7, მოსკოვი, 1926.

**) იხ. ტუგან-ბარანოვსკის «ფაბრიკა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეკა და ხიშტი მის ზურგს უკან ამუშავებულია. ბუხარინელთა მთელი იმედიც სწორედ ამ «ზურგის ჯარზეა» დაყრდნობილი, სხვა საბუთი მათ არ მოეპოვებათ.

ამ ჰაკსტჰაუზენის პროგრამას შეცთომაში შეუყვანია ოტო ბაუერიც, რომელსაც მასში ახალი სიტყვა დაუნახავს. ის კარგა ხანია დიდათ ექომაგება საბჭოთა ბატონობას, ხოლო რა მოსაზრებით—ეს დღემდე ნათელი არ იყო. ახლა კი ეს ბურუსიც გაიფანტა და მალული გახდა აშკარა. ერთ თავის სიტყვაში მან განაცხადა გასული წლის 21 დეკემბერს:

«ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისათვის, მთავარია ის, რომ ახლა გამოჩნდა იმედი, თუმცა საბუთი კიდევ არ გვაქვს, მარა ეს რუსეთში ორ წელში იქნება, რომ უკაპიტალისტოთაც შეიძლება საქმის წაყვანა. ადვილათ წარმოსაგენია, რანაირათ გაძალიერებს სოციალიზმს მთელს ევროპაში, თუ ეს დამტკიცდა. დღეს კიდევ არ ვართ ასე შორს. რუსეთში სოციალიზმი არ არის, მარა არც კაპიტალიზმია; იქ არის გარდამავალი ხანა, მისი ეკონომიკა შეიცავს ბევრ კაპიტალისტურ ელემენტს, მარა აგრეთვე ბევრ სოციალისტურსაც.» *)

ბაუერს ეს გატაცება გვარიანათ ჩაამწარა კომინტერნის მეთაურმა ზინოვიევმა სწორედ იმავე კვირაში, ოპოზიციამ მას მისცა საკმაო გაკვეთილი საბუთთა «სოციალიზმზეა და არა მგონია თავისი დებულება კიდევ განმეიროროს. მარა ერთი საკითხი რრება გაურკვეველი: მართლა მიდის საქმე უკაპიტალისტოთ? და თუ მიდის, როგორ? ანუ, ნაციონალური სოციალიზმი გამამთლელებელია პრაქტიკაში, მუშაობაში? ჰაკსტჰაუზენი და ლენინი მართლა წინასწარმეტყველებია? ამის გასაგებათ საჭიროა მოვშორდეთ ბოლშევიკების თეორიებს, რეზოლიუციებს, წიგნებს და გადავიხედოთ ცხოვრებაში, რეალურ ურთიერთობაში. სინამდვილეში. ნაციონალური სოციალიზმი ამუშავებულია, ის ცოცხალი ძალაა, ხორცშესხმულია, მისი ნაყოფი დანახულია. ეს საიდუმლოება აღარ არის, ის თვალწინ აქვს მთელ რუსეთს. მის გავლენას განიცდის მთელი ერი, მის მარხილში ზის ყველა და, მაშასადამე, მისი გათვალისწინებაც აფვილია.

კომუნისტურ პარტიამ იტვირთა 130 მილიონი ხალხის ჩაცმა, დახურვა, დაბინავება და გამოკვება. ამ მიზნით მან თავის ხელში დაიკრიბა სხვილი მრეწველობა, აღებ-მიცემობა და მიწა. ეს ძლიერ კარგი. აქამდის საქმე ჩინებულათ მიდის უკაპიტალისტოთაც. გასაჭირი იწყება მხოლოდ აქედან. როგორ განაღდდეს ეს გაცემული თამასუქი? კომპარტიამ დაიარსა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, დაიწყო ვაჭრობა-წარმოება. მან კარგათ დიამახსოვნა, რომ სოციალიზმში ნიშნავს პირველ ყოვლისა პლანით მუშაობასო და მანაც აქედან დაიწყო. დაარსდა «სახელმწიფო პლანი» (გოსპლანი), რომელიც იმუშავებს წინასწარ სამოქმედო გეგმას წარმოების და აღებ-მიცემობის ყველა დარგისათვის. პლანით მუშაობა ჩაღდება. მარა აგრარიულ ქვეყანაში 22 მილიონი გლეხის ოჯახია, თვითეული ამთვანსა თავისი საკუთარი პლანი აქვს. ამას ზედ ერთვის წვრილი მრეწველები და ვაჭრები. ამოდენა პლანში გაიხლართა სახელმწიფო პლანი. სანამ ყველა ეს ერთ ხაზზე დგას და ერთ მიზანს ემსახურებიან—მრავალპლანიანობა საშიშარი არ არის, უმთავრესი გაიყოლიებს დანარჩენი. როგორც კი მათ შორის დაირღვევა წონასწორობა და გამოჩნდება წინააღმდეგობა, ბრძოლა აუცილებელია. პირველ შემთხვევას ადგილი ქონდა სამოქალაქო ომის წლებში, როცა წარმოება და ვაჭრობა არ იყო და მთელი «პლანი» მემამულეთა დამარცხებაში მდგომარეობდა.

ასეთი გამოდგა გლეხობის პლანიც და აგრარიულ რევოლიუციამ გაიმარჯვა. მაგრამ როგორც დაიწყო წარმოების აღორძინება და მთავრობა და კერძო პირნი აქეთ იქით მიდგა-მოდგა, მონასტერი აირია. სახელმწიფოო პლანი სავსებით დაშორდა დანარჩენთ და მათ შორის განხეთქილება ჩამოვარდა. აი ერთი ცნობილი მაგალითი. შარშან მთავრობამ მთელი თავისი პლანი ააგო პუროს იფაფთ შეყიდვაზე და ევროპაში ძვირათ გაყიდვაზე. მარა გლეხს მიმოაჩნია სრულიად წინააღმდეგი გეგმა—პურის ძვირათ გაყიდვა და საფაბრიკო საკმნლთა იფფათ ყიდვა. ამ შეტაკებაში სავსებით დამარცხდა მძლავრი მთავრობა და მისი მთელი პლანიც თავდაყირა დატრიალდა. ამას მოყვა ოპოზიციის გაჩენა, მე-14 ყრილობა—მთელი იდეიური და პარტიული არევ-დარევა. უმწეო გლეხმა დაარქვა მრისხანე ხელისუფლება. ორში ერთი: ან უნდა აიკრძალოს ყველა კერძო პლანი და, მსგავსათ პარაგვაის იეზუიტების კომუნიზმისა (აწერილი აქვს

*) «არბაიტერ ციტუნგ», 22 დეკემბრის. 1925.

3066 8

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლტერს). მთელი მიწის შემოსავალი მთავრობის ბეიელში გროვდებოდეს ან და კერძო სამეურნეო პლანს მიემტოს კერძო სამრეწველო და სავაჭრო პლანიც. ე. ი. ეკონომიური სისტემა უნდა იყოს მთლიანი ან ერთ საფუძველზე, ან მეორეზე. ახლა კი საბჭოთა ეკონომიკა გაჩხირულია ორ გრდემლს შორის და მაგრათ ითვლქვება. ამით ირევა თვით სასელმწიფო პლანი და ის ემსგავსება სრულიად უპლანობას.

აი რას ეკითხულობთ «ეკონომიურ ცხოვრებაში» (№ 38) ამ საგანზე:

«როგორია ამ ჟამთა პლანების მდგომარეობა? თავდება პირველი ნახევარი წელი და მრეწველობის ბევრ დარგს დღემდე არ აქვს დამტკიცებული პლანი. არ აქვს მაგალითათ ისეთ მსგავილ მრეწველობას, როგორიცაა ნავთი... ამიტომ მე იძულებული ვარ მქონდეს ჩემი ტრესტის პლანი, ვინაიდან უპლანოთ ყოფნა ნახევარ წელიწადს შეუძლებელია.» ეთქვეთ პლანი დამტკიცდა, მარა ის უვარგისია. ეს იმიტომ რომ, «ჩვენ 6—7 თვეს ვმოგზაურობთ უთვალავ ინსტანციებში, სადაც არჩევენ, სცვლიან, ამტკიცებენ, ითხოვენ მილიონ «სპრავკებს». შემდეგ რამდენიმე თვე გრძელდება პროცედურა ბალანსებისა»...

ასეთია მთავარი ეკონომიური დაწესებულება; სახელმწიფო გეგმა უდრის სახელმწიფოო ხაოსს. გამოდის, რომ თვითეულ მრეწველობას თავისი საკუთარი პლანი აქვს ისე, როგორც კერძო პირთ. მთავრობა მსოლოდ მათ უფფუნებს და ბორბალში ჯოხს უყრის. კერძო ეკონომიური სტიქია იმდენათ მძლავრია, რომ ის ანგრევს საბჭოთა შენობის კედელს და იქ მომქმედ ეკონომიურ ძალებს ერთიმეორეს ახეთქებს. «სახელმწიფო პლანის» უფროვნა აშკარაა. ვერც ერთი მისი «გეგმა» ვერ სრულდება მრეწველობის ვერავითარ დარგში (იხ. თებერვლის «ვესტნიკ პრობრშლენსტტი, ტორგოველი ი ტრანსპორტა»).

«სოციალისტურ პლანს» ებრძვის კერძო ეკონომიკა, პირველ ყოველსა თვით მრეწველობაში. სხვილი და წვრილი მრეწველობა სხვადასხვა უფლებრივ და ფინანსიურ მდგომარეობაშია ჩაყენებული. პირველს იცავს მთელი სახელმწიფო, მისი ბანკებით, პოლიციით, ფასების დაწესებით, შეღავათებით და სუბსიდიებით. მეორის ხვედრია დარბევა, უზომო გადასახადები, დაპეტა და გადასახლება, ყოველნაირი პოლიციური და ფინანსიური დაბრკოლება. მიუხედავათ ამისა, რიცხვი კერძო მრეწველობისა სახლაპოთ მრავლდება, კომინტერნის ცნობით მათი რიცხვი უდრიდა 1922-23 წ. 97,812, 1923-24 წ. ბოლოს კი 246,797. სახელმწიფო წარმოებათა რიცხვი იმავე დროს 3,536 გაიზარდა 5.834-მდე, კოოპერაციის კი 2.915-დან 3.819-მდე. ის, სანახევრო ლეგალური მრეწველობა, ახერხებს თავის საქმეში დაბანდოს მთელი ინდუსტრიალური თანხის 26—33 პროც., კოოპერატივი კი აქაც სულს ღაფავს (2 პროც.) [1]) ე. ი. წვრილ მრეწველობას დღესაც ისეთივე ალაგი უჭერია საერთო წარმოებაში, როგორიც მას ეჭირა ომის წინ, 1913 წ. «კომუნისტური» რეკიმი მას ოდნავათაც ვერ არყევს. კომინტერნის ტრაბახობა—«სოციალისტური ეკონომიკა» ამარცხებს არა-სოციალისტურსო, მოკლებული ყოველივე საფუძველს.

თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ წვრილ მრეწველობას, როგორც კერძოს ისე სახელმწიფოს, დავინახავთ, რომ მისი ნაყოფი ცენტრალური სტატისტიკური დაწესებულების ცნობით (ესუ) უდრის მთელ სამრეწველო პროდუქციის 41 პროცენტს (7,6 მილიარდიდან 3.1 მილიარდს). განსაკუთრებით გაძლიერდა ხელოსნური და შინა მრეწველობა (კუსტარი). მაგ. უკრაინაში ის შეიცავს მთელი მრეწველობის 27,5 პროც. («ნაროდნოე ხოზიაისტვო უკრაინი» №, 10 1925), ბელორუსიაში კი 90 პროც. («იკონნ. ჟიზნ» № 42). სოფლის კაპიტალიზმის განვითარება წარმოებს კუსტარული ფორმით. როგორც კი ბაზარზე საფაბრიკო და კუსტარული საქონელი ერთმანეთს შეეცილება, გამარჯვებული გამოდის უკანასკნელი. ფეხსაცმელის ინდუსტრია ჩივის, რომ მისი «ძირითადი გაჭირვების მიზეზია ძლიერი კონკურენცია კუსტარების და კერძო პირების, რომელნენაც ნედლ მასალას იძენენ 35—75 პროც. მეტ ფასებში, ვინემ ეს სინდიკატისაგან დამტკიცებულია» («ეკ. ჟიზნ» № 39). ეს იმდროოს, როცა კერძო მეწაღეს მთავრობა ყოველნაირ შეეიწროებას აყენებს; ის ძლიერს-ძლიერობთან, ზრიკეთნი და ქრთამებით, იძენს მთავრობისაგან ნედლ მასალას, სახელოსნო მოკლე ვადით ეძლევა (ექვსი თვით) და მას არ აქვს არავითარი ინტერესი ის მორთოს და ფართე მუშაობა გააჩაღოს (იქ. № 41). წვრილი წარმოების ასეთი ძალა და სხვილისათვის სასტიკი მოცილეობის გაწევა აი-

[1]) იხ. კომინტერნის თებერვლის თეზისები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხსნება უკანასკნელის სიძაბუნით და ᲣᲘᲚᲐᲯᲝᲑᲘᲗ. და მას რომ მოაკლდეს სახელმწიფოს საკანონებო მფარველობა და ჩადგეს წვრილი წარმომის უფლებრივ პირობებში, ის დამარცხდება და საბოლოოთ დაირღვევა. კუსტარის მიერ ფაბრიკის დამარცხება რუსეთში არ ახალია, ძველია. ტუგან-ბარანოვსკის გამოკვლევით, რუსეთის ფაბრიკას ამარცხებდა შინამრეწველი ბატონ-ყმობის ხანაში, ფაბრიკა თვით იორვეოდა და პატარავდებოდა. (იხ. მისი «ფაბრიკა»). ახლანდელი ბოლშევიკური ფაბრიკა დაბრუნებია უკან, პრიმიტიული მდგომარეობისაკენ. მისი არსებობა ეკონომიურათ შეუძლებელია და მხოლოდ ბუხარინის «შესწორებანი», ანუ პოლიციური ძალა, ამაგრებს. 1924—25 საბიუდეტო წელს საბჭოთა მრეწველობამ მისცა ხაზინას 70 მილიონი ᲒᲐᲖ. ხოლო ორმავე ხაზინიდან მიიღო დახმარებათ 115,5 მილიონი. ამავე დროს იმავე მრეწველობას ბანკებნი ემრთია 897 მილ. მან. (ეკონ. ობზ. № 12, 1925). ე. ი. სახელმწიფო მრეწველობა ნაციონალურ სიმდიდრეს არა თუ არ აშრავლებს, პირიქით ის თვით სულდგმულობს იმ სიმდიდრით, რომლის მთავარი შემქნელია გლეხობა. სტალინის ანგარიშით იმავე წელს სასოფლო მეურნეობის მთელი შემოსავალი უდრიდა 9 მილიარდ მანეთს (მრეწველობის 5 მილიარდს). აი ეს კერძო სიმდიდრე წარმოადგენს ერის ნამდვილ ღირებულებას.

ამნაირათ, საბჭოთა სამეფოში წარმოებს ორგვარი ეკონომიური პროცესი—სახელმწიფო და კერძო, არის ორი ხაზეინი—მთავრობა და კერძო პირი. ამ ორ პატრონს შორის უძლიერესი—მთავრობა—ადმორჩნდა უსუსტესი, სუსტი კერძო პირი კი უძლიერესი. რატომ? იმიტომ რომ მთავრობა ვერ ასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ჩააცვას და დაახუროს მთელ ქვეყანას. მას არ აქვს ამის საშუალება, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და მით ვარდება ქრონიკულ კრიზისში. «საქონლის შიმშილი» საყოველთაო მოვლენაა. ამ მდგომარეობას ასე აგვიწერენ თვით კომუნისტები: «ჩვენ განვიცდით უძლიერეს შიმშილს მთელ რიგ ფაბრიკთ სახმარ სამრეწველო საქონლისა. ეს შიმშილი ნიშანია იმის, რომ მრეწველობა ვერ ეწევა გლეხობის და ფაბრიკ მომხმარებელ მასების კეთილდღეობის გზიერას». *) ე. ი. კერძო მეურნეობა წინ უსწრებს სახელმწიფო მეურნეობას, მარა იმავე დროს მას სული ეხუთება უკანასკნელის ფარგალში. მთავრობას არ ძალუძს აღადგინოს დაცემული მრეწველობა და იმავე დროს არც ანებებს კერძო პირთ ის აღადგინონ. ის დიდი ზეიმით აცხადებს ცნობებს მრეწველობის ზრდისას, მარა ადარაფს სამოქალაქო ომის დროის მდგომარეობას, როცა არავითარი წარმოება არ იყო. როგორც კი ამ შედარების ერთეულთა ხდება ომის წინა დრო ან არსებული საბაზრო მოთხოვნილება—მისი საარაკო უმწეობა ნათლათ აშკარავდება. მრეწველობის ორი უმთავრესი დარგი: თუჯის და ბამბის დამუშავება გასულ წელს უდრიდა 1913 წ. შედარებით პირველი 33 პროც., მეორე 56 პროც. **) სათბობი მასალის დამუშავება სრულიად ვერ აკმაყოფილებს ფაბრიკა-ზოოდებს და ეესენ ქრონიკულ კრიზისშია. მოსკოვის ტრესტი იტყობინება ფაბრიკების მძიმე მდგომარეობას უნაწნრობით; კრასნო-პრესნიას ტრესტი იტყობინება, რომ მას მხოლოდ ოთხი დღის სათბობი მასალა აქვს. «მკაცრი უთანასწორობა სათბობი მასალის მრეწველობის და მეტალურგიის ზრდის შორის იძულებულ გვყოფს გადავსინჯოდ მთელი პლანი სათბობის მიწოდებისა», სწერენ იქავე (ეკონ. ქ.» № 22). ხოლო ბამბის ნაკლებობის გამო წელს გადაწყვეტილია შემაცირონ ბამბეულის დამუშავება ექვსი პროცენტით (იქ.). ნავთიც კი ადარ ითელება «საკმაო საქონლათ», თუმცა ის ბუნების მოცემული საუნჯეა. მისი შინაგანი მოთხოვნილება ამ წლისათვის გამოანგარიშებულია 46 მილიონი ფუთი, ხოლო ბაკოს ნავთის მთელი რეზერვი უდრის 40 მილიონს; გროზნის რაიონის ნავთის მოთხოვნილებას აკლია 3 მილიონ ფუთამდე. «ამ ნაირათ ამ წელს ნავთი დაგვაკლდება, თუ ნავთის ტრესტმა არ მიიღო საგანგებო ზომები მომავალ ნავიგაციის დროს» (იქ. № 45). ნავთის ნაკლებობა არ აშორდა მოსკოვსაც კი. მთავრობამ ბრძანება დაგზავნა 8 იანვარს ნავთი მოგვაშველეთ საჩქაროთ, ვინაიდან მრავალ წარმოებაში მხოლოდ 4 დღის «ზაპასი» დარჩაო (იქ. № 8). საზოგადოოთ მოსკოვი განიცდის მუდმივ საქონლის შიმშილს. აქ საწარმოო ბაზრის მდგომარეობა ხასიათდება გასული წლის ბოლოსათვის შემდეგი ფორმულით: «საქონლის მიწოდების ნაკლებობა, მომხმარებელთა მოთხოვნილების გაძლიერება». ამის გამო შემცირდა ლურსნის დამზადება

*) კვირინგ. «ტავარნი გოლოდ», მოსკოვი; აგრეთვე «ეკონომ. ყიზნ» № 41.

**) კვირინგ, იქავე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

(არ იყო მავთულები), ბამბეულ ების ფაბრიკაცია (არ—იყო სართავი ბამბა), აშკარა ნაკლებობაა საწერი ქაღალდის და სხ. (იქ. № 8, 21). თუ ასეთ მდგომარეობაშია დედაქალაქი, ადვილად წარმოსადგენია პროვინციის და შორეულ კუთხეთა მდგომარეობა. მაგ. ბამბის ნაკლებობა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ბამბის მოყვანის რაიონში, თურქესტანისაკენ, მთავრობა პუოს ვერ აწვდის მცხოვრებთან, რომელნაც ამბობენ: «არ არის პური, არ იქნება ბამბა». მიტანილი პური მოთხოვნილების ათ პროცენტს ძლივს აკმაყოფილებს (იქ. № 8). მოსკოვის რაიონის ხაქსოვი ფაბრიკები განიცდიან ქრონიკულ ნაკლებობას სათბობი მასალის. «მრავალ ფაბრიკაში სათბობი მასალა დახარჯულია, მიწოდება უწესრიგოა, ფაბრიკების გაჩერება მოსალოდნელია» (იქ. № 24).

ერთი სიტყვით, სრული უთავბოლობა დაბარეგ-დარეგა—ეი ასეთია წარმოების ხვედრი. «სახელმწიფო პლანის» ხავგიანები პლანები არსად არ სრულდება, ის ქაღალდზე რჩება და მრეწველობა მიშვებულია ალალბედზე, აკეთებს ვისაც როგორ შეუძლია.

ასე გამწარებით დამუშავებული საქონელი, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს მუშტარს. მთელი ქვეყანა ჩიეის უსაქონლოებას. უკრაინაში მაგ. სასოფლო იარაღზე მოთხოვნილება კმაყოფილდება მხოლოდ 15—20 პროც., ხოლო გენოს გუთანი სრულიად არ არის; მუშის მოთხოვნილება კმაყოფილდება 50 პროცენ., ლუტსკნინი—10 პროც., მანუფაქტურა «მიაქეთ ბრძოლიო» და სხ. რუნინის რაიონიდან იწერებიან: «ბაზარი განიცდის კრიტიკულ მდგომარეობას: არ არის მანუფაქტურა, ტაკეი, ოკინეულობა... საქონლის შიმშილის ვამო კოოპერაცია იძულებულია მიაწოდოს საქონელი მხოლოდ თავის წევრთ. ყველა დანარჩენი გლეხთა მასა საქონელს ეძებს კერძო ბაზარზე» (ეკონ. ჟ. № 52). ამ უსაქონლობას ამწვავებს ტრანსპორტის არეკ-დარეკვა. არ არის საკმაო ლოკომოტივი, ვაგონი, გაცვეთილია ლინდაგი, გამეფებულია უმწეობა.

«რკინეულობის ნაკლებობის მიზეზით მოძრაობის შემადგენლობის რემონტი მიმდინარეობს მეტად სუსტად. ამიტომ რკინის-გზის ძირითადი სენია საქონლის ვაგონთა ნაკლებობა. ამ მდგომარეობას აორკეცებს მძიმე პირობები სათბობი მასალის—ნახშირის და განსაკუთრებით ნავთის». ცისტერნები ცოტაა; ნავთს საკმარისს ვერ იღებს დიდი რკინის-გზები—მოსკოვ-რიაზანის, აღმოსავლეთ-ციმბირის, ნოვგოროდის გუბერნია და სხ. ვერ გადმოაქვთ სამრეწველო და სამეურნეო საქონელი (ეკ. ჟ. № 47).

ახლა ვიკითხოთ, რა ხარისხისაა დამზადებული საქონელი და როგორ მიდის ის მუშტრებამდე. ეი რას მოგვითხრობდა ამაზე ბოლშევიკები:

«სოფელი ყოველგან ზის სიბნელეში ან და ანათებენ კვარით, ვინაიდან ლამპა უვარგისია, შუშა ცუდია, ხოლო ნავთის გული კიდევ უარესია. სოფელი ეძებს კარგ სპიჩას, ღებულობს დიდ პროცენტს უვარგისისას. სოფელი არ ხედავს ახალ კარგ ფანქარს, არც ცოტაოდნად მაინც ოიგიან მეკანს. ჩვენ სოფელს ხშირად ვერ ვაკმაყოფილებთ ჩვენი ფართლეულობითაც, თუმცა მისი დამუშავება გლახაკთ არ ვეკაქეს დაყენებული. თუმცა სოფელი საქონლის ხარისხის დიდად არ დაგიდევს. ჩვენ ვაძლევთ სოფელს იარაღებს და მანქანებს, მარა ეს გლეხს ხშირად უბედურებამდე ეკონიენს; იარაღები იმტკრევა ან სწრაფად ცვდება. მანქანა და მისი ნაწილები, როგორც კი ამუშავდება, ჩერდება, ხოლო ზოგი ისეთია, რომ გლეხი მას თავისი ძალით და საშუალებებით ვერ ხმარობს, ინსტრუქტორი და ოსტატი ნაკლებია» (იქ. № 34).

ასეთი ხარისხისაა საბჭოთა საქონელი! საქონლის უვარგისობაზე საზოგადოთ მთელი ეკონომიური პრესა ლაღადებს, ამ ბოროტების თავიდან აცილება არა ერთხელ ყოფილა გამოცხადებული «დამკვრელ ამოცანად», მარა «ტეკრონი იქვე ძევს». არეულ-დარეულ წარმოებას საქონელიც არეულ-დარეული ექნება, რასაკვირველია. მთავრობა გლახა საქონელს აწვდის არა თუ მუშტარს, არამედ თავისთავსაც, თავისავე დაწესებულებებს (იქ. № 18). ამ დაბალი საქონელის გაკეთებაც ძვირად ჯდება. კაუფმანის სიტყვით, «სამრეწველო საქონელთა თვითღირებულება ისეთი დიდია, რომ ის ვერ უძლებს უცხო საქონლის კონკურენციას» (№ 8). ამიტომ მას ცავს დიდი ბაეები. მაღალი სადამოწენო კედლები. ამ მაღალ თვით ღირებულებას ემატება დანარჩი ხარჯები, რაც მრავალგზით ადიდებს საბაზრო ფასებს. ის უთვალავი სავაჭრო აპარატები, რომელიც უნდა განვლოს სახელმწიფო საქონელმა საზღაროთ ზრდიან ფასებს. უკრაინაში მაგ. მანუფაქტურა მუშტრამდე მისვლამდე გადის 2—3 საბითუმო ორგანიზაციას. შემდეგ 1—2 ნაბეგრით საბითუმო აპარატს, ბოლოს სახელმწიფო კოოპერაციას. მაქარი გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გზებისა მოგზაურობს აგრეთვე ბანკებში და ტრესტის საწყობში. ჩითი ტრესტრდან მომმარაგებლამდე მიდის 127 დღე, ძაფი 178 დღე, მაუდი 257 დღე, ბობრბილი ზეთი, რომლის დანიშნულებაა სხვისი სწრაფად ამოძრავება, თვითონ მოძრაობს 673 დღეს მეშტატამდე! ამ გზებზე საქონელს ერთვივის ახალ-ახალი ფასები. მანუფაქტურას 100 პროც., შაქარს 157 პროც., მახორკას 144 პროც., მაგარ ტყავს 110 პროც. (იხ. ხარკოვის «კომ.» 19 თებერვლის). უბრალო ოკინის ფეი. სოფლის ხელოსანის მიერ გაკეთებული, როგორც კი გადავა საბჭოთა სავაჭრო დაწესებულებაში, იმატებს 60 პროცენტს («ეკონ. კ.» № 18).

საქონლის ნაკლებობა იწვევს აკიოტაჟს და სპეკულიაციას. მოსკოვში მანუფაქტურულ ბაზარზე ეს აკიოტაჟი უმწეურვალეს ხარისხამდე მივიდა შარშან შემოდგომაზე; ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული მაღაზიები შემოიტყმეული იყო კერძოთ ვაჭრებით, რომელნიც შემდეგ 100—300 პროცენტის ზედდართვით ყიდდენ ნაყიდ საქონელს იქვე ბაზარზე. ფასების დაწევა რამდენიმეთ მოხდა შემდეგ განსაკუთრებით—ხელშეკრულობით საბჭოთა და ვაჭრებს შორის (იქ. № 39). მარა ეგეკვე აკიოტაჟი განმეორდა იანვარში იმავე კუდებით და ფასების აწევით. «განსაკუთრებით ეძებდენ შინამრეწველობის ნაწარმოებთ, რაიაც იყიდებოდა 25—30 პროცენტით მეტათ, ვინემ ტრესტების საქონელი» (იქ. № 33).

ამნაირათ, გლახა საქონელი, დიდი ფასები—აი საბჭოთა ეკონომიკის ნაყოფი. მარა ესეც სანატრელათ აქვს გამხდარი სოფელს. მთავარი გამსაღებელია კოოპერატივი, ხოლო აქ კი დაბუდებულია უძირო ბოროტმოქმედება და ნათლიამბობ. იუსტიციის კომისარის კურსკის ცნობით გასული წლის პირველ ნახევარს შედგა 10,387 სამეშესხებ გაფლანგვისა კოოპერატივებში; გაფლანგულია 10,5 მილიონი მან. ამ ბობოტებისაგან დაზღვეული არ არის არც მოსკოვის და პეტროგრადის გუბერნიები (იქ. № 19). სოფელში რა ხდება, ასე აგვიწერს ერთი კორესპონდენტი:

«გაფლანგვა ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ პატიოსან კოოპერატორებს პრემიები უნდა დაენიშნოს. ყოველგან მეუბნებოდენ, რომ არ ახსოვთ ისეთი თავმჯდომარე და ხაზინადარი, რომელთაც არ გაეფლანგოთ». აი ასეთ კოოპერატივში მოვიდა საქონელი, «ბიეჭები დარბიან ქუჩა-ქუჩა და გაკივიან: საქონელი მოვიდა, საქონელი მოვიდა! ჩემი თვალით ვნახე. ღმერთმანი, სამი ტვირთია!' ქალები საჩქაროთ მიდიან, მათ მიყვება მუეიკები. კოოპერატივის წინ უკვე ხალხია.» მარა მთა კარს უკეტენ და ზიგნით ხდება «საიდუმლო სხდომა» მოხელეთა და გამგეთაის წევრთა. რაც კარგია ჯერ ესენი ინაწილებენ თავიანთ და თავის ნათესავებს შორის, რაც მთა გადარჩებათ—ხალხს (იქ. № 21).

და ასე დიდის დავიდარაბით და დაგვიანებით მისული გლახა საქონელი უვარდება ხელში სოფლის წურბელებს, რომელნიც საბჭოთა კოოპერატივში არიან მოკალათებული. ხალხს რჩება ნიორთა ნაქურჩელა. საქონლის შიმშილი ოდნავათაც არ ნელდება.

რა გზით შეიძლება ბაზრის საქონლით გავსება? ამ საკითხს უტრიალებს დიდი ხანია საბჭოთა მთავრობა და შეუდგა მის გადაჭრას სავარეო ვაჭრობის დახმარებით. აქ კი მას წინ აღუდგა კიდევ უფრო დაუძლეველი კედელი. რუსეთმა დაკარგა მსოფლიო ბაზარზე ყველა მოპოვებული პოზიციები. მისი პური, რითაც წინეთ ევროპა იკვებებოდა, შესცვალა ამერიკის პურმა. მაშასადამე, აქ რუსეთს დღეს ძლიერი კონკურენტები ყავს და მათი დამარცხება მას არ ძალუძს საბჭოთა ფარგლებში. და მართლაც, ჯერ ერთი, ჩამორჩენილ რუსის გლეხს საუკეთესო მოსავლის დროსაც ნაკლები პური მოყავს, ვინემ დასავლეთის გლეხს. შარშან მაგ., სულ ზემოდან-ადა პური რუსეთში 120 კილო, ოროვენტინაში 711, კანადაში 1299, ავსტრალიაში 544, ვენგრიაში 240, საფრანგეთში 227 და სხვა *). მაშასადამე, რუსეთს გამოსატანიც არაფერი აქვს, თუ არ გაიკირვებს და ზოგ რაიონებს არ დაამშვენს. მეორეთ, რუსის პური ძვირია. ვინაიდან იქ მუშაფაქტურა ძვირია, ე. ი. საბჭოთა მრეწველობა პურის ფასს მაღლა სწევს და მით აძლიერებს უცხო კონკურენტთ. კაუფმანის სიტყვით «უარესათაა სასოფლო მეურნეობის საქონლის ფასების მდგომარეობა; ეს ფასები ცალ-ცალკე საქონლზე თითქმის უდრის მსოფლიო ბაზრის ფასებს. რაც საფრთხეს უშნადებს ჩვენს ექსპორტს. ზოგიერთ საქონელზე ფასი

*) «ეკსკელსიორი» 21 თებერ. ახლა თვით კომუნისტებმა გამოაცხადეს, რომ მათი პური სტატისტიკა გადამეტებული აღმოჩნდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აიწია რა შიგნით, იმავე დროს დაეცა საზღვარ-გარეთ. ასეთია მაგ. სელი, რომლის ფასი შარშან ტონაზე იყო 128 გირვანქა, წელს კი—78—80 გირ. ამნაირად დამოკიდებულება საგარეო და საშინაო ფასების მთელ რიგ საქონელზე აშკარათ აბრკოლებს ჩვენს ექს პორტს» (იქ. ᲒᲐ. № 8) პურის ფასი არა თუ არ კლებულობს შიგნით, არამედ პირიქით თანდათან მატულობს, რამაც გამოიწვია დღევანდელი სმრწველო კრიზისი (იქ. № 41). ასეთ პირობებში საბჭოთა პური ევროპითარ შთამბეჭდილებას უცხოეთის ბაზარზე ვერ მოახდენს. აქ ბატონობს ამერიკა. საბჭოთა ეკონომისტები ასე ახასიათებენ ამ მდგომარეობას:

«და მართლაც, ლაპარაკიც კი არ შეიძლება რაიმე გავლენაზე რუსეთის მიერ მეცირედათ გამოტანილი პურისა მსოფლიო ბაზრის პურის ფასებზე.... აფსტრალიის და არგენტინის გამოსელამ ბაზარზე ევროპის მდგომარეობა კიდევ უფრო დამოუკიდებელი გახადა, ვინემ მიმდინარე სასურსათო წლის პირველ თვეებში, როცა თითქმის მთელ დროს ერთათ ერთი კანადა აძლევდა ტონს მსოფლიო პურის ბაზარს». (იქ. № 24)

ერთი სიტყვით, ევროპაში ბრძანებლობს პატარა პურის ქვეყნები, დიდი რუსეთი კი აქედან სავსებით გამორიცხულია. საბჭოთა ეკონომიკა აქ მოხდება კაპიტალისტურ ეკონომიკას და დამარცხდა. აქ ხომ მას არ ყავს ჩეკა და «გოსპლანი», არ შეუძლია წართმევა და ძალმომრეობა. აქ კულტურული კონკურენციაა და ან მრისხანე მოსკოვს ამარცხებს უბრალო კანადელი ფერმერი. საბჭოთა ქურუმები ეძებენ გამოსავალს. «სამეფურნეო ფასების გადატეხის აუცილებლობა, სწორეს ისინი, პირველ ყოვლისა პურზე, სრულიად კატეგორიულათ დგას ჩვენ წინ. ამას მოითხოვს სახალხო ეკონომიური ინტერესები, ამას გვიკარნახებს ვალიუტის ინტერესი, ამას ითხოვს მსოფლიო ბაზრის პირობები». რა საშუალებით? სამრეწველო ფასების დაწევით (იქ. № 33).

ამნაირათ საგარეო ვაჭრობის მთელი სიმძიმე ისევ საბჭოთა მრეწველობაში გადმოდის. გაუმჯობესება არ შეიძლება უცხოეთის დაუხმარებლათ, უცხოეთის დახმარება არ შეიძლება მის გაუუმჯობესებლათ. ამ ჩიხშია მომწყვდეული საბჭოთა მთელი ეკონომიკა. აქედან გამოსელას ფიქრობენ პირდაპირ უცხო კაპიტალისტებისაგან დასესხებით. ამ მიზნით მუშაობს საბჭოთა უთვალავი კომისიები ევროპაში. საბჭოთა მრეწველობა ისევ კაპიტალისტებისაგან გამოელის ხსნას! ის შინ ტრაბახობით აყრუებს რუსის ხალხს, ხოლო აქ, უცხოეთში კი ბანკების დერეფანში ხელგაშვერილი ჩარაზმულია.

ამნაირათ, ოტო ბაუერის დასმულ საკითხზე, რუსეთის ეკონომიკის უკაპიტალისტო განვითარებაზე, სინამდვილე სრულიად უარყოფილ პასუხს იძლევა. საქმე აქ ვერ მიდის უკაპიტალისტოთ და ეს არა თუ არ ასუსტებს საერთაშორისო სოციალიზმს, პირიქით, მას სწორედ ეს აძლიერებს და ყველა მის პოზიციას ამარცხებს. სოციალიზმის ერთ ქვეყანაში მართალ განხორციელება და ისიც აგრარულ ქვეყანაში იქნებოდა სრული გაკოტრება მთელი მარქსიზმის. ნაციონალური სოციალიზმი ძირებუდიანად ეწინააღმდეგება ინტერნაციონალურ სოციალიზმს და ებრძვის ყველა მის ძირითად დებულებებს. და სწორედ გასამტერებელია, როცა სოც.-დემ. ბაუერი ფიქრობს მეცნიერულ სოციალიზმის დასაბუთებას რუსული უტოპიური სოციალიზმით!

ნ. ᲙᲐ.

ᲗᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡᲢᲠᲣᲚ ᲮᲜᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ოცდა თხუთმეტი წელია, რაც სილიბისტრული პირველად შეეხვდი ზესტაფონში.

ჩემი ბავშობის დროს ზესტაფონი შესანიშნავი იყო «ვეისნანარილიკითა», რომელიც მასთან დაახლოებულ თავად-აზნაურებს შესხიოდა ხოლმე: მე ვიკითხო, ჯამაგირის ამარა რომ ვარ, თორემ თქვენ რა გიჭირთ, ყველაფერი მზად გაქვთ სახლშია, «პრისტავეი», რომელიც ზმირათ ბოხი ხმით იმეორებდა: «ნადო ელო დოკანატ», «მიროვი პოსოდნიკი» ჩოხაში და კაკარდიან ქუდში და სხვა «ჩინოვნიკებით», მაშინდელი იქაური ვაჭრობა, ალე-მიცემობა ორორიდ სამიკიტნოში, სამეფურში, სადალაქოში და მეკუპრის სახელოსნოში ტრიალობდა. არამც თუ უცხოელს, ქართველ კაცსაც კი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აქ იშვიათათ შეხვდებოდით. სოფელი ასეთ ცენტრს არაფრათ ეძალებოდა. დროებით ვალდებული გლეხი და ყოფილი მებატონე სოფლის ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა მცირე გამოსაყალისით.

როცა მე სილიბისტროს შევხვდი, ზესტაფონი სხვა სურათს წარმოადგენდა. აქ მაშინ, რომ იტყვიან, ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა. თქვენ აქ შეხვდებოდით ნაპატიჟებ მოტენხაკებს, სოლოლიაკებს, რიხნერებს, პანასიიებს და სხვა საკმაოთ მრავალ ევრობიელ «შავი ქვის» მრეწველებს, რომლებსაც ზესტაფონის «ობივატელი» მეტის დაკვირვებით და ინტერესით შეყურებდა, ვინეგმ «ვეისნაჩალიკს» და «პრისტავს». ივანე აბაშიძე, წინითაც მიჩნეული, ეხლა მით უფრო პოპულიარული იყო, რომ ფრანგფული იცოდა და ევროპიელებთან თარჯიმნობდა. ევროპიელების გარშემო ტრიალებდენ ქართველი «სხვილი» მწარმოებლები, რომლებიც წინეთ ნალბანდობდენ, მიკიტნობდენ, მეწყვილმანობდენ, თავად-აზნაურობდენ. «ჩინოვნიკობდენ»; ამათ თავი უკვე საზოგადო მოღვაწეებათ მოქონდათ მით უმეტეს, რომ მათ შორის იყო ნიკო ღოღობერიძე, კაცი უმაღლეს სწავლით, თვალსაჩინო წარსულით, რომელზედაც ამბობდენ: ღენერალს მრეწველი ურჩევნიაო. ამათ თან ახლდა მრავალი ახალგაზდობა ფულავას მისწრაფებით გატაცებული. ფული აქ მაშინ იმდენი იყო, რომ ყურს მოკაკვადით ასეთ ჩივილს: ფული მუარობს, მადა მაკლიაო, რაზედაც იჭვიანნ სპირია გარეჩილაძე უპასუხებდა ხოლმე: ეკუთი, ბიძია, ეკუთი, ხელი მოუჭირე მაგ სასიანებს, თორემ გნახავ, მადა მოგივდეს, ფული ეგაგიფრინდესო. მარგანეცის გადამზიდვაი გამეურული სოფელი ათასობით ტრიალებდა ზესტაფონში, ანგარიშში იყო, შრომის და დროის დაფასებას ეჩვეოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხი აქ ერთმანეთს ხვდებოდა, ეცნობოდა.

აქვე იყო მაშინ ეგნატე ნინოშვილი. შავი ქვის მტვერი, კანტორის ჰაერი, ინტენსიური მუშაობა დღითი-დღე ფეალსაჩინოთ ასუსტებდა მის უმნიოდაც დაავათმყოფებულ სხეულს. მიუხედავათ ამისა მისი შემოქმედება სწრაფთ ეწალა ზენიდა ფრთებს, «ძველი დავა ახალ ქერქში» იწყებოდა და ეგნატე პასუხზე ბეჭობდა.

თუ ეგნატესთან კაი განწყობილებაში იყავი, ის ზოროდან დაგაახლოებდა თავის მეგობრებს. ეს მისი ორგანიული მოთხოვნილება იყო და ამით იყო, რომ მე, თუმცა სილიბისტროს პირადათ არ ვიცნობდი, მისდამი დიდი სიმპატია მქონდა. და მანვე, ეგნატეს, შემახვედრა მე სილიბისტროს. როცა პირველათ სილიბისტროს მაღლა აწეულ თავს და ზენიდან დადმახედეს თვალი მოეკარი და გამახსენდა, რომ ის გამასწორებელ რაზმში იყო, გულში გამეცინა და ვსთქვი: ოღლინდაც რომ გაუსწორებიათ მეთქი! სილიბისტრო ბევრჯელ მომყოლია იმ დროინდელ თავგადასავალს. ის ოხუნჯობით და სიცილით იგონებდა თავის «გამასწორებლებს», განსაკუთრებით რაზმის უფროს მოხუც კაპიტანს თავისი «კომანდიით». მას უფრო სიბრალულით ჩარჩენოდა გულში, ვინეგმ ზიზღი ამ «საწყალი» ხალხისადმი, რომელიც თვითმპყრობელობის ბრმა იარაღათ გამხდარიყო.

სილიბისტრო როცა შკოლიდან ბრუნდებოდა (პირველათ ოზურგეთში სწავლობდა). მერე გამოაცხობდა ხოლმე მუჯას. ასეთი კომფორტით აღზრდილი სილიბისტრო, ცხადია, გამასწორებელ რაზმში ვერ შეიპატივებდა. სულით უძლეული, ის ფიზიკურათ ძალზე დაჭანცული და დასუსტებული იყო; მისთვის ეხლა საჭირო იყო შესაფერი სამუშაოს მოძებნა. ასეთი სამუშეგარი მან «ფილოქსერის პარტიაში» მოძებნა. ეს «პარტია» ფილოქსერას ეძებდა, მაგრამ, თუ გნებავთ, აქაც იმ ხანათ სხვა რაიმეს ძიებაც იყო. თქვენ მაშინ აქ შეხვდებოდით არა ერთ და ორს არეულობისთვის უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოძეკვებულ სტუდენტს და ამ მიყრუებულ სოფლების ვენახებში ხშირათ გაიგონებდით მათ შორის ატეხილ დავას. დავის საგანი იყო: «სუბიექტიური მეთოდი სოციოლოგიაში», «რა არის პროგრესი», «დარვინის თეორია და საზოგადოებრივი მეცნიერება», «პიროვნების როლი ისტორიაში», «გმირი და ბრბო», «რევოლიუცია თუ ევოლიუცია», კაპიტალიზმი, რუსული ობშინა, პროლეტარი და გლეხი, რა გზით მიდის რუსეთი და სხვა.

ხანდისხან «პარტიაში» იყო ხოლმე, ასე ვსთქვათ, თავისუფალი, იმპრეზიზული შკოლა: სოფლური გრძელი სუფრა, მის გარშემო თხუთმეტი-ოცი მუშა (განურჩეველათ წოდებისა), დაფეთით და «ფედა-ენით»; საგნები: წერა-კითხვა, არითმეტიკა... გადასახადები, ღალა და სხვა. პარტია იყო მოარული და შეგეძლოთ მასთან მოგველოთ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები. მუშაობა იყო სეზონის და ზამთარს, თუ გნებავდათ, ქალაქათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაატარებდით. ასე გადაიტარა იმ ხანად სილიბისტროს სამუშევრის საკითხი. მაგრამ მის წინაშე მაშინ იყო მეორე უფრო რთული ამოცანა.

სილიბისტრომ დიდი ხნიდან იცოდა, რომ ლუარსაბი და დარეჯანი უშვილძიროთ გადავიდენ, მაგრამ ლუარსაბ-დარეჯანიზმი ცხოვრებაში დარჩა: კაკო ყანჩაღთ გიიჭრა, გაბრომ გლახაობაში დალია სული, მაგრამ დათიკოები თავიისს განაგრძობდენ; ოტია მესხი და ადამ ბებურიშვილი წავიდენ და მათი ადგილი მკლავაკიდენმა დიკაევს. პაწაწა გლეხის შვილმა ერთჯერ ტკბილად დაიძინა და მას პოეტმა უმღერა, რომ ბატონი ადარ ეყოლება, მაგრამ ის დროებით ვალდებულ გლეხათ დარჩა; სხვანაირიანთ რომ ვსთქვათ, დარჩა თვითმპყრობელობა. როცა სილიბისტროთ სემინარიაში (სადაც ქართულ ენას ძალლის ენას უწოდებდენ მეფის აგენტები) ერთი «ეკესტი» გაპკეთა, მან მაშინ უკვე იცოდა, რომ მეფის რეკიმის მოუსპობლათ ცხოვრება ჭირ ვერ წაიგიდოდა, მაგრამ რა რიგ, რომელი გზა სჯობია ამისთვის, აი საკითხი, რომლის პასუხის ძიებაში იყო სილიბისტრო, როცა მე მას შევხდი.

ვიცით, შემდეგ სილიბისტროო ამ საკითხის შესახებ ასეთ პასუხს დაადგა: თუ გინდა რომ მიზანს მიაღწიო, როგორც ახლოგელის ისე შორეულს, საქმე მუშიდან დაიწყე.

რატომ დაადგა ამ გზას სილიბისტრო, რატომ ამჯობინა მან ეს პასუხი სხვას, სად და რა პირობებში მოხდა ეს, რამდენნათ გაამართალა ცხოვრებამ ეს არჩევანი? ამის პასუხი ჩვენი პარტიის ისტორია იქნება. ამ ისტორიის მომავალში თვისი მერანგი აღმოუჩრდება. დრო მიდის, სილიბისტროს ბევრი ახლოგელი ამხანაგი ბრძოლას შეეწირა; ბევრი ბოლშევიკების ციხეებში ჭამებას განიკდიან, მაგრამ ვისაც ოდნავი საშუალება აქვს, მან სილიბისტროზე მოგონების შეგროვებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. ეს სახვალიოთ გადასადები არ არი.

კ. ჩხეიძე.

ა ფ ლ ი ტ ი კ ე ბ ი ს ი ა ნ ი ა

დიდი ომის შემდეგ პოლიტიკის ცენტრი გახდა პაიზენი. საფრანგეთი აძლევს ტონს ამკაბამთ ევროპის საქმეთა მიმდინარეობას. 1924 წ. 11 მაისამდე ბატონობდა ეგრეთ წოდებული «ნაციონალური ბლოკი», კონსერვატორ-რესპუბლიკანელები, როგორ შინაური დევიზია—არსებულის უცვლელათ შენახვა, ხოლო გარეთ შიშით და ძალით ვერსალის ზავის დაცვა. 11 მაისის საპარლამენტო არჩევნებში ეს პარტია დამარცხდა და უმრავლესობა მოიპოვა რადიკალ-სოციალისტებმა (140) და სოციალისტებმა (104), რომელთა შორის მოხდა საარჩევნო შეთანხმება (კარტელი). შედგა ერის ეს სამინისტრო. რასაც მხარს უჭერდენ სოციალისტები. დაიწყო ხანა საგარეო რეფორმების. ერიომ და ინგალისის მაშინდელ პრემიერმა მაკდონალდმა გაატარეს ნაციათა ლიგის სხდომაზე ცნობილი პროტოკოლი, ე. ი. საკადებულო არბიტრაჟი ერთა შორის კონფლიქტის დროს, რურის ეკაკუაცია, გერმანიასთან ახალი ენის გამონახვა, შემდეგ ბრიანის მეთაურობით ლოკარნო და სხ. (პროტოკოლი არ დაამტკიცა ბოლშევიზის მთავრობამ). ერთი სიტყვით საფრანგეთის ახალი პარლამენტი გახდა საშუალება ევროპაში მშვიდობიანობის გასამტკიცებლათ და ხალხთა ლიგის ავტორიტეტის გასაგაგრძელათ. მაგრამ საშინაო საკითხებში კარტელი ვერ შეთანხმდა და დაიწყო მისი ოდვევა. აქ პირველ ყოვლისა წამოდგა მთავრობის შედგენის საკითხი. რადიკალები ითხოვდენ სოციალისტების შემოსვლას მთავრობაში და საერთო ძალლერნით ფინანსიური რეფორმების გატარებას. სოციალისტები გაიყო ორ ჯგუფად—ერთი რენოდელის მეთაურობით გამოვიდა კოალიციის მომხრე, მეორე ლეონ ბლიუმის წინაძძღოლობით—წინააღმდეგი. რით ასაბუთებენ ისინი თავის წინადადებას?

რენოდელის აზრით, დღეს საფრანგეთში კრიზისია არა მარტო ფინანსიური, არამედ მასთან დაკავშირებით თვით რესპუბლიკანური პრინციპის. ხალხმა მოგვცა უმრავლესობა და მოგვანდო საქმეთა მოწესრიგება. თუ ვერ მოვაწესრიგებთ—ხალხი ზურგს შეგვაქცევს და რეაქციონერებისაკენ პირს იბრუნებს. რეფორმა გაამაგრებს რა ფინანსებს, გაამაგრებს რესპუბლიკას, ჩვენს პარტიას და მომავალ არჩევნებში დიდ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამარჯვებას ვიგებენ. მაშინ უფრო შორს წავალთ და სოციალისტურ რეფორმას წინ წამოვაყენებთ.

ბლიუმის აზრით:

«მართველობის დაპყრობა ნიშნავს პოლიტიკური ძალა-უფლების სავსებით დაპატრონებას, რაიც არის შესაძლებელი დასაწყისი და აუცილებელი პირობა საკუთრების რეკიმის გადასვლაფერების, ე. ი. რევოლიუციის. მაშასადამე მართველობის დაპყრობა პირველ ყოველის რევოლიუციური ცხენია და მას მე ვუპირდაპირებ იმას, რასაც მე ვეძახი მართველობას კაპიტალისტურ რეკიმში; ამას არ აქვს რევოლიუციური ხასიათი და თვით არის შედეგი პარლამენტარული მოქმედების. რაკი მონაწილეობას იღებ ამ მოქმედებაში, შესაძლებელია იძულებული გახდეთ მიიღოთ ეს მართველობა, მოითხოვოთ და განიცადოთ ის. და აი აქ არის საშიშროება. მართველობის აღება კაპიტალისტურ რეკიმში და მართველობის დაპყრობა შეუძლიათ არიონ ერთმანეთში და პროლეტარიატმა მოითხოვოს პირველისაგან ის, რასაც მოელის უკანასკნელისაგან. და რადგანაც ამას ვერ მიიღებს—მოხდება იმედის გაცრუება, რევოლიუციური გულის გატეხა.» *)

აქ, როგორც ხედავთ, გვარიანი დიდი არგუმენტია მოყვანილი მთავრობაში შესვლის წინააღმდეგ. მარა საკითხავი, რატომ საფრანგეთში ეს დაარღვევს პარტიას, გულს გაუტეხს პროლეტარიატს, ხოლო ბელგიაში, შვეიცარიაში, დანიაში მათ ასეთი შედეგი არ მოაქვს? ამაზე ბლიუმის მომხრენი უგებენ, რომ იქ პარტია მაგარია, პროლეტარიატი მეტიდრო შეკავშირებულია, აღზრდილია, კომეუნისტურ დემაგოგიას გასავალი არ აქვს და ამიტომ პარტიის სამთავრობო ექსპერიმენტი იწყება და სრულდება პროლეტარიატის დახმარებით და მონაწილეობით. იქ ფეხშეფწყობილთან მიდის წინ და ინვეს უკან მთელი კლასი სრულიად შეგნებულად და საქმის ცოდნით. სულ სხვაა საფრანგეთში, აქ სოციალისტების დიდი საარჩევნო გავლენა არ არის აგებული ასეთსავე დიდ პარტიულ ორგანიზაციაზე: პარტია სუსტია, ტურის განხეთქილების შემდეგ მხოლოდ ახლა იღვიძებს და მაგრდება. პროლეტარიატს აკლია საკმაო პოლიტიკური შეგნება. კომუნისტური დემაგოგია გამოძახილს პოულობს, რაიც კიდევ უფრო ასუსტებს მუშათა კლასს. ასეთ პირობებში მთავრობაში შესვლა ვერ იქნება გაგებული ჩვენ მომხრეთა მიერ და მოგვცემს ბლიუმის მიერ გამოთქმულ შედეგებსო.

პარტიის ყრილობა დაეთანხმა უკანასკნელ მოსაზრებას და უარყო რეფოდელის წინადადება.

როგორც ხედავთ, აქ ბევრი უმთავრესათ არა პრინციპის, არამედ პრაქტიკის გარეშემო. არავინ არ უარყოფს პრინციპიალურათ კოალიციას; ეს დღეს მიზან შეწონილობის საკითხია.

მაგრამ ამით საფრანგეთმა ვერ მიიღო პოლიტიკური გამოსავალი. ვერავითარი მთავრობა ვერ გაძლებს, თუ ის არ დაეყრდნო ან სოციალისტებს ან მემარჯვენეენ. ცენტრი თავისთავად უმრავლესობას არ იძლევა. აქედან გაუთავებელი პარლამენტარული კრიზისი. ფინანსების მოუწესრიგებლობა, რითაც სარგებლობენ ფაშისტ-რეაქციონერები და აგიტაციას წეწვიან თვით რესპუბლიკის წინააღმდეგ. ბრიანის სამინისტროს დაცემა (6 მარტს)—და შესაბე დღეს მის მიერ ახალის შედგენა საკითხს სვამს კაეტგორიულად—ან მარჯვნივ გადახრა, ან მარცხნივ წამოწევა. რენოდელის წინადადება ხელახლა დაგვა. ქვეყანას ასარჩევი აქვს ორში ერთი: ან მარჯვენა პოლიტიკა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება 11 მაისის არჩევნებს, ან მარცხენა სოციალისტების მონაწილეობით, რამაც მართლა შეიძლება პროლეტარიატის დაქსაქსვა გამოიწვიოს.

აღსანიშნავია ის, რომ საფრანგეთში ეკონომიური კრიზისი არ არის, პირიქით, აქ მრეწველობა დღეს, უმეშვერობა არ არის, მილიონი უცხოელი მუშაობს და საქმეს მაინც ვერ ასდიან, ცხოვრება იაფია, საქონელი იაფია, ხოლო სახელმწიფოს კი ფინანსიური გაჭირვებაშია! რატომ? აქ უეჭველია, პოლიტიკური მიმეტენები თამაშობენ როლს. სხვიდი ბანკირები და შეძლებულნი ცდილობენ არ გაიღონ თავის ქონების შესაფერი გადასახადი და მთელი სიძმიმე გადაადგან ხალხს. სოციალისტების მიერ

*) სიტყვა ბლიუმის პარტიის უკანასკნელ კონგრესზე. «La Nouvelle Revue Socialiste № 3.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წამოყენებული წინადადება—გადასახადი კაპიტალზე—მთავარი მალამოა, მაგრამ ვინ არის მისი გამტარებელი? რეფოდელის აზრით, გამტარებელია კარტელი სოციალისტების მეთაურობით, ხოლო ამისათვის კი კოალიციაა საჭირო. მთავარია ქვეყნის ხსნა, ყველა დანარჩენი საშუალებაა, რაც მიტანილი უნდა იქნას რესპუბლიკის საკუთრებელზე. მას არ სჯერა, რომ ქვეყნის გადარჩენა სოციალისტების დახმარებით—დასასუტებს სოციალისტებს. პირიქით, გაჯანსაღებული სოციალური სხეული გააჯანსაღებს პარტიასაც და პროლეტარიატსაც.

აი რა რთული პოლიტიკური პრობლემაა დღეს საფრანგეთში გადასაჭრელი.

* * *

სულ სხვაა ინგლისში. აქ ორი პარტიის სისტემაა თავიდანვე, არჩევნებში გამარჯვებული პარტია ადგენს მთავრობას უკრიხისთან და უდავიდარაბით ბოლომდე, ხელახალ არჩევნებამდე. აქ პარლამენტარული თამაშისაგან დაზღვეულია მართველობა. საზოგადოებას აღოკავს არა სამთავრობო კომბინაციები. არამედ საგარეო და ეკონომიური საკითხები. აქ პოლიტიკის ცენტრში ოგას ორი საგანი: გარეთ, ევროპაში ნამდვილი ზავის უზრუნველყოფა და საბჭოთა რუსეთის განცალკევება, შიგნით—სოციალური კონფლიქტების მოწესრიგება. რომდენთ პირველი ხაზი მკაცრათ ტარდება, იმდენთ მეორე ხაზი შინაგან დაბრკოლებებს ეკახება და კლასთა ბრძოლას ასკდება. ამ სფეროში წინ წამოჭრილია სამი დარგი—მიწათმოქმედება, ქვანახშირი და ელექტრონი. მუშათა პარტია მოითხოვს მიწების ჩამორთმევას ლორდებისათვის და საზოგადოების საკუთრებათ გადაქცევას, ქვა-ნახშირის მადანთა მათი წარმოებითურთ და ელექტრონის სადგურთა ნაციონალიზაციას. ლიბერალები ითხოვენ მიწების ჩამორთმევას და კერძო საკუთრებათ მიცემას მუშებისათვის, ამით უმუშევართა რიცხვი მოიკვეხსო. კონსერვატორები თანახმა არიან «ბეისწყავლოს» საკითხი ქვანახშირის და ელექტრონის, მიწა კი რჩება, როგორც არის.

მთავრობა თანხმდება ელექტრონის სადგურთა გაერთიანებას და კონტროლის დაწესებას, მხოლოდ ამ საკითხს არ უკავშირებს ნახშირის მადნების საკითხს. ლიბერალები საკუთრებას არ ეხებიან, მხოლოდ თანხმდებიან ნახშირის და ელექტრონის მოხმარა, განაწილება და გამოყენება იქნას ნაციის ხელში.

მუშათა პოზიციას ამ დარგში ასე ახასიათებს ჰენდერსონი:

«მაღაროელის წარმოება იქნება აწყობილი ერთი საერთო პლანით, რაიც მოამზადებს წინდაწინ, მეცნიერულათ ნახშირს და ელექტრონის ძალას. ამ გზით დამეშვება ნახშირის, განაწილება მამოძრავებელი ძალის, ტრანსპორტი და ფაბრიკაცია ამ მუშაობის ნაყოფის თავის მოყრის ერთ ნაციონალურ სისტემაში, რაიც იქნება დაყენებული ექსპერტებისაგან შემდგარი სახელმწიფო დაწესებულების კონტროლს ქვეშ».*)

როგორც ხედავთ, ყველა პარტია მზათაა მოახდინოს სოციალური რეფორმა. აქ რასაკვირველია, პარტიული მოსაზრებები თამაშობენ შესაფერ როლს! კონსერვატორი სურთ მუშათა მოთხოვნილება თვით განახორციელონ, ამით მუშათა პარტიის უსარგებლობა მუშებს დაანახვონ და მომავალ არჩევნებში უმრავლესობა მიიღონ. ამ მხრით საყურადღებოა საეფო კომისიის დასკვნა ქვა-ნახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის სასარგებლოთ იმ პირობით, რომ დამეშვება რჩება არსებულ კერძო საკუთრებაში. ლიბერალები ფიქრობენ თავისი დანგრეული პარტია გამოაცოცხლონ და დაკარგული პოზიცია აღადგინონ. და ყველა ეს კომბინაციები დგება იმიტომ, რომ ზურგს უკან მუშათა პარტია დგას და მათ ორივეს ერთნაირათ ემუქრება.

შინაური დავა ხელს არ უშლის ინგლისს გარეთ აწარმოოს ერთი გარკვეული პოლიტიკა. ამ ნიადაგზე იქ არ არის პარტიათა შორის დიდი დავა, ოპოზიცია წვრილმანი შეკითხვებით კმაყოფილდება. ლოკარნოს პოლიტიკამ ინგლისს ხელი გაუხსნა აღმოსავლეთში თავისუფლათ იმუშაოს. სპარსეთის შინაგანი გადატრიალება, მანჯურიაში ბოლშევიკების წინააღმდეგი მოძრაობა, ბოსკოვის მეგობარ—ოსმალეთის იზოლიაცია მეზობელ სახელმწიფოთაგან ინგლისის პოლიტიკის შედეგია. ის ამაგრებს იტალიის ფაშიზმს, საბერძნეთის დიქტატურას და ბოლგარიის ოსმალეთის წინააღმ-

*) La vil Socioliste, 4 მარტის ნომერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ, არაფერი გაბედო მოსულის დასაბრუნებლათ, თვარა ამათ მოგიყვეო; სპარსეთიდან ლამის გამოდევნოს რუსეთის გაველენა, ამ მიზნით განზრახულია მთელი რიგი რკინის-გზებისა თეირანიდან ინდოეთის მიმართულებით. ნამდვილი შეთქმულებაა შორეულ აღმოსავლეთში: ჩინეთის მთავრობის შეცცელა, მანჯურიის რკინის-გზის რუსეთისაგან ჩამოართმევა, ამით რუსეთის მოწყვეტა წყნარ ოკეანესაგან და იქ ციმბირის ნაპირების იაპონელებით დასახლება—ერთი სიტყვით რუსეთის ყოველ მხრით ახალი რკალის შემორტყმა.

ამ დიდ დიპლომატიურ მანევრს ბოლშევიკები ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. ერთათ-ერთი მათი საგარეო პოლანელი—პოლპაგანდის გუდა დაიჩუტა და მისი არც ვინმეს სჯერა რამე, არც ჩინელს, არც სპარსელს, არც ინდოელს, არავის. ამ ხუთი წლის განმავლობაში პირველათ ამ დღეებში მოხდა თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრთა შორის შედავება მოსკოვის გარეშემო. ლანბერის წინადადებას—მოსკოვს საქონლით სესხი მიეცესო. ერთმა მუშთაგანმა (დეიკი) უპასუხა: სწორეთ სამწუხაროა, რომ ჩვენ პარტიაში მოიპოვებიან ისეთები, რომელნიც მზათ არიან გუნდრუკი უკმეინონ ეშმაკთაც კი, თუ ის წითელ ქუდს დაიხურავსო!

ბოლშევიკების საგარეო პროპაგანდა მიწურულშია.

* * *

გერმანია ჯერ კიდევ ირყევა მოსკოვს და ლოკარნოს შორის. მართალია პირი აქვთ მოიბრუნა, მარა კუდი კიდევ იქით დარჩა. ის აძლევს ბოლშევიკებს სესხს (საქონლით), თუმცა თვითონ დაუსის პლანით სულდგმულობს. ეს ალბათ უკანასკნელი ნარკია ლოკარნოს გამოსაყიდათ გაღებული, ვინაიდან მოსკოვის აზრით ის ეწინააღმდეგება რაპალოს ხელშეკრულობას. აქ საბჭოთა დიპლომატიამ განიცადა სასტიკი დამარცხება და შეურიგდა პირობის დარღვევას ცოტაოდენი საკენკის მიღებით. გერმანია ფორმალურათ ჯერ კიდევ არ შესულა ლიგაში ქენეკის ცნობილ ინციდენტის გამო, მარა ეს არ აბრკოლებს მის თანამშრომლობას დიდ სახელწოდებათან. გერმანიის ევროპიული პოლიტიკა ამუშავებულია. ამ საკითხის გარეშემო უკვე შეთანხმებულია ყველა პარტია. გარდა კომეშნისტების და უკიდურეს მემარჯვენეთა. სამაგიეროთ შინაურ საკითხებში წარმოება დიდი ბრძოლა. ახლაც, როგორც წინეთ, მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს სოციალდემოკრატია, რომლის მიუვალ კედელს ასკდება მონარქისტული რეაქცია და კომუნისტური დემაგოგია. რუსეთიდან ოკაცვა და მისი საბოლოო წყობილებათ გადაქცევა სოციალდემოკრატიის მთავარი საზრუნავია. ამ მიზნით მან ითავა რეფერენდუმის მოხდენა გადაყენებულ დინსტიანთა ქონების დაბრუნების წინააღმდეგ და ეწევა მთელ ქვეყანაში ფართო ანტიმონარქისტულ აგიტაციას. ამ კომპანიის მთავრობა არ შეუერთდა, მან განაცხადა—წინააღმდეგი ვართ რეფერენდუმის, დავა უნდა გადაწყდეს რეიხსტაგის კანონმდებლობითო. მარა ვინაიდან დეპუტატთა უმრავლესობა კონფიზკაციის მომხრე არ არის, ამიტომ სოციალდემოკრატია აპელაციით მიმართავს ხალხს. ეს იქნება პირველი რეფერენდუმი გერმანიაში, ვიმმარის კონსტიტუციის თანახმათ. მუშათა კლასის მთავარი სატკივარია უმუშევართა გამოვლენა. გასული წლის ნოემბერში ითვლებოდა შეკავშირებულ მუშათა 4,9 პროცენტი უმუშევარი (360 ათასამდე), რომელნიც დახმარებას ღებულობდენ სახელმწიფოსაგან. ამ უკანასკნელ ორ თვეში უმუშევართა რიცხვი ორ მილიონს აცილებს. რატომ, რაშია საქმე? ამ საკითხს არკვევენ ამეკამთ მუშათა ორგანიზაციები. სახალხო შემოსავალი დღეს ომის წინაფროისას აჭარბებს. ის უფრიდეა ომამდე 42—43 მილიარდ ოქროს მარკას, დღეს კი 43—48 მილიარდ ასეთსავე მარკას. ხოლო პროფესიონალური კავშირების ანგარიშით უკანასკნელი რაოდენობა ნამდვილზე ნაკლებია, ის უფრის 52—60 მილიარდს. ამაში მუშა-მოსამსახურე იღებს 33—36 მილიარდს. სოფლის მეურნე (გარდა დაქირავებული მუშისა) 6—7 მილიარდს, ვაჭარ-მრეწველნი—10—12, თავიანთ ფალი ხელობა (ინტელიგენცია და სხ.) 1—2, საზოგადოებები 2—3 მილიარდს. *) ამას მიემატები ეტიური საგარეო ჭაპრობა და ვამოვა, რომ საზოგადოება შეძლებულია, სიღარიბე განდევნილია და მიუხედავათ ამისა უმუშევრობა გაზრდილია. კაპიტალისტები ითხოვენ რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებას, ქირის დაკლებას და ამით უმუშევრობის მოსპობას. სოციალდემოკრატები კი, პირიქით, მოითხოვენ ქირის მომატე-

*) «ფორვერტსი» 24 თებერვალი 1926.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბას, ამით მუშის სასყიდელი ძალის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ფაბრიკოების გაფართოვებას და უმუშევართა საქმეში ჩაბმას.

ჰელფერიინგმა რეფერატში თქვა სხვათაშორის შემდეგი:

«ჩვენ ვიმეფოდენებთ, სხვათა შორის, რომ სახელმწიფო ბანკი კრედიტის შეიწროებას ადარ განაგრძობს. კრიზისის შერბილება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს სოციალური პოლიტიკის ანგარიშზე, არ უნდა მოხდეს ზეშის ქირის დაკლებით. სოციალური სიმძიმე არის ნაწილი დღის ქირის. სწორეთ კრიზისის დასაძლევადაა საჭირო სოციალური პოლიტიკის დაცვა. ქირის ანგარიშზე კრიზისის წამლობა ნიშნავს შინაგანი ბაზრის შეიწროებას. ყოველნაირი საშუალებაა მისაღები მის შესარბილებლად. ამად შორისაა რკინისგზისათვის კრედიტის მიცემა, განვითარება ელექტრონის დარგის, ზურუნველყოფა ექსპორტის კრედიტის, მთავრობის სახლების აგების დიდი პროგრამა». *)

ერთი სიტყვით, უმუშევრობის დასუსტება მოითხოვს შინაგან მომხმარებელ ბაზრის გაფართოვებას, ეს კი შესაძლებელია, როცა მთავარ მუშტრის, ერის უმრავლესობას—პროლეტარიატს მიეცემა სახსარი ყველა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

* * *

საარაკო ამბავი მოხდა უნგრეთში. გამოჩნდა, რომ აქ ყოფილა ორი მთავრობა—ოფიციალური და მისი საიდუმლო განყოფილება, არაოფიციალური; ორივე მონარქიის აღდგენას ცდილობს. პირველი იფერებს კანონიერებას, მეორე კი ეწევა აშკარა უკანონობას, ნიადგან ამზადებს რესტავრაციისათვის და ამ მიზნით აკეთებს საფრანგეთის ყალბ ფულებს! ეს ვაკბატონები დაიპირეს საფრანგეთის მოთხოვნით, თვარა ახლაც თავის სანაქებო საქმეზე იქნებოდნენ. უნგრეთის ფეოდალებმა საქვეყნოთ თავი მოიჭრეს. მარა ისინი მეტათ მაგარი და მოხერხებული ხალნია. ავსტრიის მონარქიას ისინი კომანდრობდენ, მათ დაატეხეს ქვეყანას დიდი ომი. ისინი აცურებდენ ევროპის დიპლომატიას. ბოლოს მოხდა დიდი ისტორიული ამბავი—ისინი დაამარცხა რევოლუციამ და გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა. მარა ეს არ ეყო მოსკოვის ავანტიურისტებს, დემოკრატიული მთავრობა გადაადგეს და რეაქციონერთა სასიხარულოთ ბელა-კუნის საბჭოთა მთავრობა განაწესეს. შედეგი? საშინელი რეაქცია, დამარცხებული ფეოდალების აღდგომა და ქვეყნის სათავეში მოქცევა. ამნაირათ, ძველი, შავი უნგრეთი მთელი თავისი სიძლიერით შუაგულ ევროპაში გამოიჭიმა და მეზობელ რეაქციონერთა მიმზიდველ ცენტრათ გახდა. მათი კოჭი ისევ ალრუნე დაჯდა! მათი თანამოძმენი ყოველგან სულს დაფავენ, ავსტრია, გერმანია, ჩეხო-სლოვაკია მათგან განთავისუფდა. აქ კი ისევ ძველი ბატონებია ძველი იდეოლოგიით და მისწრაფებით!

კომინტერმა მათ დიდი სამსახური გაუწია. ახლა ისინი ორ მოძმე ბანაკათ იყოფიან—ერთის სურს ჰაბსბურგის ტახტზე მოწვევა, მეორეს კი ფაშისტური დიქტატურის შემოღება. მარა მიმდინარე საკითხებში ერთათ არიან და ყალბ ფულებს ერთათ ასაღებენ. უბედურება ის არის, რომ მათ მხარს უჭერს ზოგი დიდი სახელმწიფო «განსაკუთრებული მიზნით», და ტრიანონის ხელშეკრულობის ასრულებას არ დაგიდევენ. ჯარის ყოლა აკრძალული აქვთ, მარა ეს ქაღალდზე, ნამდვილათ კი ჯარიც საკმარისი ყავთ და იარაღიც. ჰორტის რეკიმი აღიარებულია «წესიერების» საუკეთესო საფარათ შუაგულ ევროპაში და მას ყველა ქვეყნის ფაშიზმი ადიდებს. მას კიდევ არ უთქვამს. უკანასკნელი სიტყვა.

---

*) იქ. 12 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მიღწევები.

«ლეგეი, ლეგეი ი ბუს ვ კანავუ.
პროშჩაი ხოზაისკიე გორშკი!»

გაზეთი «მუშა» (№ 961). ვეგატყობინებეს რა ।—ლ ვეგრდნე, რომ საქართველოს კეთილდღეობა სავსებით უზრუნველყოფილია, მოგვითხრობს ამავე ნომერში შემდეგ კეთილმოსასმენ ამბავს:

1. პროტექციანი საბჭოთა აპარატის სინონიმათ გადაიქცა. ეი ვინმე ხომეიკი, კაცი ფრიად გაბრწყინებული პრაქტიკულ საკითხებში, სწერს: «ეინმემ აშკარა ბოროტება ჩაიდინა; საკირო მისი დაპატიმრება და დასჯა—დაეძებენ პროტექციას; რომელიმე კოოპერატიციმა მიიღო მანეფუაქტურა, რომელიც კერძო ბაზარზე არ იშოვება—მიმართავენ პროტექციას. უნდათ უნივერსიტეტში შესვლა—აქაც პროტექციით გადიან ფოსს»..... ხომერიკი მოუწოდებს ყველას ებრძოლონ პროტექციას, მაგრამ ვინ შეებრძოლება თვითონ ხომერიკს, რომელიც ეკუთსაც არიგებს და იმავე დროს იქავე სწერს: «პროტექციის გაწეევაში, ამაში აშკარათ უნდა გამოვტყდე—მეც მაქეს ცოდეანა»?

2. საკავშირო კომუნ. მეურნეობის მუშაკთა პროფფეს. კავშირის მე-6 ყრილობა, აღნიშნავს რა, რომ ყველაფერი კარგათაა. კავშირების ფინანსების შესახებ, შემდეგ გულისმამსაფონ ამბავს გვატყობინებს: «ჯეარაც არაა მიღწეული ის მდგომარეობა, რომ კავშირის წევრები წესიერათ იხდიდნენ გადასახადს». და აი გამოსთქეამენ სურვილს, «რომ კავშირის ფინანსიური საშეალებანი იხარჯებოდეს მომეირნეობით და უმეტეს ნაწილათ კავშირის წევრების საეირო ინტერესებისათვის». დიახ, კარგი სურვილებია. ტყვილათ კი არ უთქვამს დანტეს, რომ ჯოჯოხეთი კეთილი სურვილებითაა მოკირწყლულიო. ოგივე ყრილობა ოფიციალურათ აღნიშნავს, რომ «კავშირის ფულების გაფლანგვის შემთხვევა იზრდება». და აი აქ «რასტრატოოოლოგიის» აგენტრები დიდი ოფლის დენის შემდეგ პოულობენ სრულიად ახალ მცნებას—პასუხისმგებლობის შემოღებას; მაგრამ რადგანაც პასუხისმგებლობა ალაგშეულია და ქურდმა ქურდის ამბავი კარგად იცის, ყოელობა დადადეს, რომ კავშირის ფულები უნდა ინახებოდეს მიმდინარე ანგარიშზე ბანკში ან შემნახველ სალაროში. კავშირის ხაზინადართან კი უნდა რჩებოდეს განსაზღვრული რაოდენობა, რათა ამით მას გაფლანგვის საშეალება მოესპოსო. აქედან ცხადია, თუ რა «ფფლის თვალი ტრიალებს» მოსკოვის აგენტების სოციალურ შემოქმედებაში. იმავე ყრილობის პირით საბჭოთა პროფფეს. მეთოდიკა ამტკიცებს, საეიროა «შემოღება წესის, რათა აქტიური მომუშავეები დროგამოშვებით თავის მუშაობის ანგარიშს უდგენდენ ამრჩეველებსო.» აშკარაა რამდენათ დემოკრატიულია პროფეს. კავშირი საბჭოთა სამოთხეში და რა ფასი აქეს მას, თუ ჯერ ანგარიშის წარმოდგენაც არ მიეეიან.

3. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყრილობაც აღნიშნავს, რომ ყველაფერი კარგათაა მხოლოდ სოციალური სნეულებანი ზომაზე მეტათ მოშინაურდენ, მათ წინააღმდეგ საბრძოლეელი ფინანსიური საშეალებანი კი ამ ბოლო დროს შერყეულა. არავინ დასწამოთ ქურდობა კომეტეტს, არა, მას მხოლოდ «კლეპტომანია» სჭირს, რასაც ქართულათ «ქაფვა» ეწოდება. წესრიგი უკეე აღდგენილია; მას შემდეგ, რაც ცენტრ. კომეტეტს აღმოუჩენია «როგორც ზნეობრივი, ისე ქონებრივი დახმარება.» კომეტეტის მუშაობა გამოკოცხლებულა. ანდაზა: ქურდობა ხელობაა, პირისახეზე სიწითლეს აღარ იწეევს.

4. «ემოს» (ერთიანი ბომბ. ს-ბა) კარგი გემო ჰქონია. მას კარგათ შეუგნია თავისი როლი, რაც შემდეგი დამახასიათებელი მოვლენიდან სჩანს: ხიდისთავეს რაიონში (გურია) მეურმეთა კავშირი დაარსებულა. შემოუღიათ საწეევრო გადასახადი აღმასკომის სასარგებლოთ, დაუწესებიათ ნიხრი წასაღებ საქონელზე, რითაც ყველა კმაყოფილი დარჩენილა, გარდა «ემოსი». «ემოსი» ჰქონია წასაღები არაყი საკვეველზე. მეურმეთა კავშირი ნიხრ-დაკლებით არ დათანხმებულა. ბოლოს შეთანხმებულან, მაგრამ მეურმეების ფული რამდენიმე თვით დაუტყვევებია «ემოს.». ყოფილა ასეთი მაგალითი: «ემოსს» გამგეობამ ღამით გამოიყვანა ჩოხატაურის მეურმეები ხიდისთავში და ჩუმათ წაადებია საქონელი, რომ ხიდისთავის მეურმეებს არ შეეტყოთ. ამას მოპყოლია ორი საზოგადოების შეელი. კიდევ აღარ დაიკვრებენ, რომ საბჭოთა კოოპერაცია ხალხს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ემსახურება? აქ საუსებით დაცულია თანასწორობის პრინციპი: საწევრო—«ღმესკმს», მოგება—«ემოს.» გაყვლეფა—გლეხებს. აი საბჭოთა საკოოპერაციო მშენებლობის ნიმუში.

5. როგორ ამართლებენ სამკითხველოები თავის დანიშნულებას?—კითხულობს საბჭოთა ოქროპარი და თვითონვე უპასუხებს: «რაც მართალია მართალია, ამ მხრივ მათი მუშაობა ძალიან მოისუსტებს. გამონაკლისებს რომ თავი დავანებოთ, სამკითხველოებს დიდი ნაწილი გაყინულ წერტილს ვერ გასც�es. მათ თავის გარშემო ვერ შემოიკრიბეს გლეხები, ვერ გააცხოველეს კულტურული საქმიანობა. დღე ერთია და საკვედური ათასი, რადგან სამკითხველოები მთელი კვირაობით დაკეტილია... ზშირია სარიკვარი... მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდაო», დასძენს.

6. მე კი შორს არ წაგიყვან, ძვირფასო მკითხველო. აჭარებმა, მოწამლული ყოფილაო, შეიძლება სთქვა და ამიტომ ვალაპარაკოთ ისევ საბჭოთა მატიანე: (იგივე №, გვ. 4) «ზემო-ავჭალა სწავლა-განათლების მხრით თითქმის ყველაზე ჩამორჩენილი სოფელია. თფილისზე მიკრულ ამ სოფლის მცხოვრებთა 80 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია... სწავლას ისინი დიდათ არ აფასებენ. დიდი ცდაა საჭირო, რომ აქაურ გლეხს ხელიდან გამოგლიჯოთ ბავშვი და სკოლაში მიიბაროთ.—რათ უნდა გავაკეთინონ? ძროხებში და ტყეში ვინღა დამეხმარება, რას მოუტანს წიგნის ცოდნა?—ხშირათ გაიგონებთ პასუხათ, როცა ლაპარაკობთ სწავლის საჭიროებაზე. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი კი თანდათან მატულობს.» აი რა წინსვლაა თფილისის და ავჭალის ჰიდროსადგურის გვერდით, რომელიც ბაბილონის გოდოლივით წამოიწევს, მაგრამ ჯერ ვერც კი დაიწყეს და უნდა ვიფიქროთ, რომ ენათა შერევით დათავდება.

ევროპაში ჰიდრო-სადგურებიც ბევრია და წერა-კითხვის უცოდინარეობაც მომსპარია, მაგრამ სოციალიზმი ჯერ ვერ დაარსეს. ფილიპეს ბალჩაში კი სადგურიც არაა და წერა-კითხვის უცოდინარობაც ფაქტია. მაგრამ სოციალიზმი ერთხმათ მიღებულია. რაშია საქმე?—ურიასტანის შვილები ეუბნებიან თავიანთ მყიდველებს: კარგი მატერიაა, ზეიდან რას უყურებ, სარჩულს დახედეო. ფილიპე-სერგო-ამბიების სოციალიზმს რეაქციის სარჩული უდევს. აქ სოციალიზმი არაფერ შუაშია გარდა იმისა, რომ ის ოკუპანტებისათვის საწველ ფურს წარმოადგენს.

7. ჯერჯერობით საბჭოთა სოციალიზმით მხოლოდ ფილიპეები სარგებლობენ, რადგან «სოციალისტური» ქვეყანა ჯერ ისე მდიდარი როდია, რომ ყველა დააკმაყოფილოს! თვით ხალხური ლექსი ამართლებს კომუნისტების ამ შეხედულებას:

იყო, იყო, ზამთარ იყო, პატარაში საკმარ იყო.
ტყეში ჩიტი მომკვდარიყო; ასმა კაცმა ვერ შეეშამა,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა, ერთისათვის საკმარ იყო.

ფილიპეს სოციალიზმი ერთს ანებს ამღებს და ათასს მშიერს სტოვებს. «უპატრონო და უსახლკარო ბავშვები რკინისგზის მიდამოებს კალიასავით მოეცდენ. სად გინდათ რომ არ შეხვდეთ მათ! ვაგონები, სადგურის დარბაზები, ბაქნები, ჩიხები ავსებულია ამ ხალხით—შენი შნავის საბჭოთა პრესა თავის არსებობის მე 5 წლის თავზე. თფილისის მთავარ სახელოსნოს ჩრ. დასავლეთით არის პარკი, სადაც ყრია დამტვრეული ქვაბ-ვაგონები. ერთ-ერთ ქვაბში ბინა გაუკეთებიათ ავარებს. მოწყობილი აქვთ საწოლი, ანთებენ ცეცხლს»... ზშირათ სახელოსნოშიც შეიპარებიან და ნაგვის ვაგონებს კარგ მასალას აყოლებენ»-ო, გვატყობინებს საბჭოთა პრესის კორესპონდენტი, რომელსაც შეიძლება თაფლის მდინარეზე პირი არ დააყოფინეს და ამიტომ სინამდვილეს სწორათ გადმოგვცემს. ხალხი კი იტანჯება მონობის უღელში. მაგრამ დესპოტის ხელში რკინის სადავე ისე მძლავრათ ეკნაება, რომ ის მას ვეღარ დაიპერს, თავს ვერ შეუკავებს. დაჭკრავს საათი; დემოკლეს ხმალი მტარვალის თავზე დაეცემა და განაჩენს აღასრულებს.

ი. ვ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სოციალდემოკრატიული თვითმართველობა ქ. ვენაში. *)

ვენის თვითმართველობა—ერთი სანმაშუშო მაგალითია სოციალდემოკრატიის სოციალური მოღვაწეობის. 1919 წლიდან განაგებს ამ თვითმართველობას სოც.-დემ. და ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად ბურჟუაზიული და კომუნისტური წრეების სისინისა, იგი დღეს ყველასათვის თითით საჩვენებელი და მისაბაძი გამხდარა.

ჩვენთვისაც ეს ოროგინალური ცდა მნიშვნელოვანი ქალაქის სოციალისტური მართვისა მეტათ საყურადღებოა. მით უმეტეს, რომ მკითხველს ადვილად შეუძლია იგი საქართველოს დღევანდელ კომუნისტურ მართველობასთან შეადაროს:

ვენის კონსტიტუცია. როცა რევოლიუციის ხანაში სოც.-დემოკრატიამ ჩაიგდო ხელში მართვა-გამგეობა, მან პირველ ყოვლისა გადაქმნა ძირ-ფესვიანად ადგილობრივი თვითმართველობის დებულება და იგი ფართო დემოკრატიულ საფუძველზე აააგო. ამ დებულების დასასურათებლათ აეწერათ აქ ვენის თვითმართველობის აგებულებას.

ქალაქი დაყოფილია რაიონებად, რომელთაც ადგილობრივ საქმეებისათვის ყავს თავის კომუნალური მართველობა საყოველთაო და პროპორციულ სისტემით არჩეული. ამავე სისტემით და იმავე დროს ირჩევენ ქალაქის ხმოსნებს, რომელნიც შეადგენენ ქალაქის საკანონმდებლო ორგანოს, საბჭოს.

საბჭო არჩევს თავის წრიდან მოურავს და არა თავის წრიდან სენატს, 12 წევრისაგან. ამათ გარდა მართველობაში მონაწილეობს 8 კომისია, არჩეული 8 დარგისათვის, რომელზედაც ნაწილდება ქალაქის მეურნეობა.

საბჭო წყვეტს ყველა მნიშვნელოვან საკითხებს, რომელნიც წინასწარ განხილული უნდა იყოს კომისიებისაგან. სენატიც უმთავრესად სათათბიროო ორგანოა, მარა ზოგიერთ არა უმთავრეს საკითხებში გადაამწყვეტი უფლებით სარგებლობს.

მართველობა 8 დარგად არის დაყოფილი. ესენია: 1) პირადი შემადგენლობა და მართველობის რეფორმა. 2) ფინანსები. 3) ქალაქის მოწყობა, ახალგზდობის აღზრდა და პიგიენა. 4) სოციალური უზრუნველყოფა და ბინის საქმე. 5) ტეხნიკური. 6) სასურსათო და სამეურნეო. 7) საერთო მართვა-გამგეობა და 8) ქალაქის წარმოებანი.

შკოლას ავსტრიაში თავის განსაკუთრებული ორგანიზაცია აქვს, რომელიც თვითმართველობაში არ შედის, მხოლოდ ჯამგირს აძლევს თვითმართველობა.

თვითეულ დარგს სათავეში უდგას გამგე, სენატის წევრთაგან არჩეული 5 წლის ვადით, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე და უნდა გადადგეს, თუ უკანასკნელმა პირდაპირი უნდობლობა გამოუცხადა. იგი მუშაობს კომისიასთან, მოახსენებს მას ყოველ საკითხს და მასთან ერთათ უძღვება საქმეს. მხოლოდ წარმოების განყოფილებაში იგი კომისიის თავმჯდომარეცაა, ხოლო მომხსენებლათ წარმოებათა დირეკტორები გამოდიან.

ეს ერთნაირი პასუხისმგებელი სამინისტროა, რომლის პრემიერობას მოურავი სწევს. იგიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე. სასწრაფო შემთხვევებში მას უფლება აქვს მიიღოს დადგენილებები საბჭოს და მის ორგანოების მაგივრ, ან შეაჩეროს მთგან მიღებული. მისი მახლობელი თანამშრომელია მაგისტრატის დირეკტორი (საქმეთა მმართველი), პროფესიონალური მოხელე, დანიშნული სენატისაგან მოურავის წარდგენით.

თვითმართველობას ყავს დამოუკიდებელი საკონტროლო ორგანო, რომელიც უკეთებს მოხსენებებს ქალ. მოურავს ან საბჭოს.

გამგეები და ქალაქის მოურავი ვენაში დღეს სოციალდემოკრატებია.

განვიხილოთ მათი ნამოქმედარი:

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. «ჩვენს მოღვაწეობაში, განაცხადა ქალაქის თავმა ზეიცმა, ჩვენი ხელმძღვანელი იქნება არა ძველი ურთიერთობის კანონები, არამედ ახალი, ცხოველმყოფელი და შემომქმედი ძალა სოციალიზმის, შრომის საზოგადოებრივობა, რომელშიაც კერძო ჯგუფთა ინტერესები ემორჩილება საერთო ინტერესებს და უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას.»

*) იხ. R. Danneberg. Die Sozialdemocratische Gemeinde-Verwaltung in wien.

30668

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და მათ შეასრულეს კიდეკე ეს დანაპირები.

დანგრეული ქალაქი, დარბეული საავადმყოფოები, საიდანაც ჭურჭლეულობაც კი ჯარისთვის იყო წაღებული; ტრამვაი, გაზი გასაჩერებლათ გამზადებული, კასა ცალიერი; ავთომყოფები, მოხუცები, ბავშვები უპატრონოთ მიტოვებული, აი რა დახვდა სოც.-დემ. 1919 წელს.

და ყოველივე ეს გამოასწორეს მათ პირველ ყოვლისა სწორი და სამართლიანი ფინანსიური სისტემის შემოღებით, რაც ძარღვია ყოველი საზოგადოებრივი მართველობის.

ძველი თვითმართველობა ეყრდნობოდა საბინაო გადასახადს, სურსათ-სანოვაგეზე ბაჟს და ქალაქის წარმოებათა შემოსავალს, რომელიც საერთო ხარჯების დასაფარავათ მიდიოდა.

სოც.-დემ. თვითმართველობამ ყოველივე ეს შეატრიალა: ქალაქის ყველა წარმოებათა შემოსავალი: გაზის, ელექტრონის, ტრამვაის და სხვ. თვით ამ წარმოებათა გაფართოვება-გაუმჯობესებისათვის გადასდო. თვითმართველობის შესანახათ კი შემოღებულ იქნა დაბეგვრა ფუფუნების და შეძლების კლასების პროგრესიულ გადასახადის სისტემის მიხედვით.

გადასახადი აძევს ავტომობილებს (ნახევარი ცხენის ძალის ზევით), მოსამსახურის ყოლას ერთს ზევით, უშრომოთ შეძენილ ღირებულებას. გაუშენებელ ადგილებს, საუდოთ ცხენებს. მთავარი შემოსავალის წყაროა სოციალური მზრუნველობის გადასახადი, გაზრილი ყველა სამრეწველო. საფინანსო და სატრანსპორტო დაწესებულებებზე მათი მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირის მიხედვით. გადასახადი უდრის ჯამაგირის—4—8 პროც. (ბანკებში). ამ გადასახადის მუშა-მოსამსახურეებზე რაიმე სახით გადადება სასტიკათ აკრძალულია. გადასახადება დიდი გაზეთების განცხადებებზე, კედლის აფიშებზე და სხვ., გარდა საარჩევნო და პოლიტიკურ კრებების განცხადებისა.

სურსათ-სანოვაგეზე ბაჟის მაგიერ სოც.-დემ. შემოიღო გადასახადი დიდ რესტორანებში, ღამის კაბარეებში და კაფე-კონცერტებში სასმელ-საჭმელზე, რაც დახარჯულის 15 პროც. უდრის. დაბეგრულია ბანაობები, თეატრი და ოპერა 10 პროც., ხოლო ბოქსი, ჭიდაობა და ასეთები 50 პროცენტამდე, შემოსავალი ხმარდება ობოლთა თავშესაფარს. დაქირავებულ ბინაზეც დადებულია განსაკუთრებული გადასახადი, ძალიან მცირე პატარა ბინებისთვის და საგრძნობი—მდიდარ ბინებზე. შემოსავალი ამ გადასახადის მიდის ახალ ბინების და სახლების აშენებაზე ღარიბ მცხოვრებლებისათვის.

ქალაქს უფლება აქვს ყველა ახალ საჯეკო საზოგადოებაში აქციების ნახევრის შეძენის, რითაც იგი ფართეთ სარგებლობს და შემოსავალს ქალაქს ანმარს. დღეს ვენის ბიუჯეტი დადებითია, და რაც უმთავრესია, შემოსავალს იძლევა მდიდარი კლასები, ხოლო სარგებლობს უმთავრესად მუშათა კლასი და საერთოთ მცირე შეძლების მოქალაქე. პირველყოვლისა ამათი კულტურული და სოციალური მოთხოვნილებები კმაყოფილდება.

მ უ შ ა-მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. პირველ ყოველისა ქალაქი სანა-მუშოთო უფლის თავის მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა რიცხვი უდრის საერთოთ 54 ათასს. სამუშაო დღეა სამსახურში 7 საათი, წარმოებაში 8 საათი. მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი სასტიკათ განსაზღვრულია განსაკუთრებული რეგლამენტით, რომელსაც იმუშავებს და სცვლის სპეციალური კომისია. შემდგარი ქალაქის და მოსამსახურეების წარმომადგენელთაგან. თვით კომისიაში არსებითათ საკითხი წყდება პროფ. ორგანიზაციებთან შეთანხმების მიხედვით. ეს პროფფესიონ. კავშირები, როგორც მუშების, ისე მოსამსახურეებისა. რა თქმა უნდა, სრულიად თავისუფალია და დამოუკიდებელი. მათ საქმეებში ადმინისტრატიული ჩარევა ან მათი უფლებების დარღვევა რომელიმე თანამდებობის პირისაგან—სამსახურის დანაშაულათ ითვლება. თუ რამდენიმე კავშირია ერთ დარგში. მოლაპარაკება სწარმოებს იმასთან, რომელიც უმრავლესობას შეიკავს. უმცირეს ობის კავშირთა წარმომადგენელის ჩარევა ბოლაპარაკებაში დამოკიდებულია დიდ კავშირთან შეთანხმებაზე და ადმინისტრაციას ამაში ხელი არ აქვს.

მუშებთან ყველა დარგში დადებულია სატარიფო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მათი შრომის პირობებს. საფუძველათ ამ ხელშეკრულებას ედება ამავე დარგის მუშათა ხელშეკრულება კერძო მწარმოებლებთან და მასში შეტანილია მრავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცვლილებები და გაუმჯობესებანი. მუშა-მოსამსახურეების ხელფასის მომატება, სამსახურში წინწაწევა და სხვ. ყოველივე განსაზღვრულია სპეციალური წესებით და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან თავისუფალია. ჯამაგირი მოსამსახურეების და ხელფასი მუშების ბევრათ უფრო დიდია, ვინემ კერძო მწარმოებელთან, სახელმწიფოსთან. ან სხვა ქალაქებში. უკეთესია აგრეთვე შრომის პირობები, პიგიენა, ადგილის უზრუნველყოფა და სხვ. ქალისა და კაცის შრომა ერთნაირათ ფასდება, თუ იგინი ერთ და იმავე სამეშოს ასრულებენ.

ხელფასი მეტია არა მარტო სხვა დარგებთან, არამედ ომის წინა დროსთან შედარებითაც. ან მაგალითები: ქეჩის მუშები იღებენ ომის წინა დროსთან შედარებით 124—182 პროცენტამდე, ელექტრონის მუშები: 124—203 პროც.-მდე, გაზის 106—175 პროც.-მდე, და ასე. ამრიგად ხელფასი ერთი მეოთხედით და ზოგან 2 ჯერაც მეტია ომის წინა დროისაზე. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით აწეულია ამ მხრივ უბრალო მუშების და დაბალ მოსამსახურეების ჯამაგირი, რომელნიც წინეთ მეტათ მცირე ჯილდოს იღებდნ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ მუშებს აქვთ მთელი რიგი შეღავათები, ქალაქის სატარანსპორტო გზებზე მიმოსვლაში ზღებით ნახევარი ფასი, დაბალ მოსამსახურეებს და მუშებს ეძლევათ სამეშოო ტანისსამოსი ან მისი ღირებულება ფულათ. საშობაოთ ერთი კვირის ჯამაგირი აქვთ დამატებით და სხვ. ასეთები. 30—35 წლის ნამსახური მუშა-მოსამსახურე იღებს პენსიას თავის ჯამაგირის 72—90 პროცენტს. პენსიის უფლება იწყება 10 წლის ნამსახურიდან. 50 პროც. ჯამაგირით და შემდეგ მატულობს. პენსია მეტი პროცენტით ეძლევა დაბალ ჯამაგირიანებს, დაბალი პროცენტი მაღალ ჯამაგირიანებს. თავისთავათ ცხადია, მუშა-მოსამსახურეებისთვის არსებობს საავადმყოფო კასა, ყველანი დაზღვეული არიან უბედურ შემთხვევათგან ქალაქის ხარჯზე, აქვთ დამხმარე კასები, და სხვ. ქალაქი იხდის მათზე სახელმწიფოს მიერ გაწერილ შემოსავლის და კეკლების გადასახადს.

ასეთ პირობებში გასაკვირველი არაა, რომ სოც.-დემ. დიდი სიმპატია და თანაგრძნობა მოიპოვა თავის თანამშრომლებში.

უნდა აღინიშნს, რომ მან მიიღო ქალაქი, სადაც ყველა მოსამსახურე და მუშები წინანდელი ბურჟუაზიული თვითმართველობისაგან იყვენ აყვანილნი, როგორც ანტი-სოციალისტები. სოც.-დემ. მოძღვენი და მუშნაკალმდეგენი. სოც.-დემოკრატიას ისინი არ გაუთვკეია, პირიქით ყველანი თავის ადგილს დასტოვა და ამ ფართე სოციალური რეფორმებით და გაუმჯობესებებით ერთიანათ მოინადირა. მიუხედავათ გაფიცვის სრული თავისუფლებისა 6 წლის განმავლობაში არავითარ კონფლიქტს არ ქონია ადგილი, გარდა ერთი გაფიცვისა ტრამვაიში პირველ წელს.

ეი ასეთია მორალური გავლენა ნამდვილი სოციალისტური შემოქმედების.

სოციალური უზრუნველყოფა. ვენის სოც.-დემ. თვითმართველობამ ყველა დარგს დაასვა თავის დაღი, ყველგან შეიტანა ახალი სული სოციალისტური აღმშენებლობის. განსაკუთრებით ითქმის ეს სოციალურ უზრუნველყოფის საკითხში.

ბურჟუაზიულ თვითმართველობისთვის საზოგადოებრივ დახმარებას ქონდა ხასიათი ქველმოქმედების, გულკეთილობის და მოწყალების. სოც.-დემ. ეს საქმე დააყენა ფართე სოციალურ ნიადაგზე. დახმარებას მიზნათ აქვს საზოგადოების გაჯანსაღება, მომავალი თაობის უზრუნველყოფა, მოსუცის და დავრდომილის უკანასკნელ დღეების სიამით ჩატარება.

საზოგადოებრივი მზრუნველობა ეხება პირველყოფლისა ბავშვებს. მათ მიჩენილი ყავთ მეთვალყურეები დედის მუცლიდანვე. ოთხი თვის ორსულს უკვე უფლება ეძლევა დახმარება მიიღოს ნივთიერი, საექიმო და დარიგებით, როგორც მომავალმა დედამ. ექიმები უსინჯავენ სისხლს, არკვევენ თუ მას ან მის ქმარს რაიმე ავადმყოფობა აქვს, რომელიც შეიძლება ბავშვს გამოაჩნდეს, მაგ. ჭლეკი, ვენერიული სენი და სხვ. და იღებენ ზომებს ნაყოფის გაჯანსაღებისათვის, რასაკვირველია უფასოთ. ქალაქი არ მოიიზოვეს, რომ ყოველი დედა მივიდეს მასთან, ის თვით მიდის, ეძებს მათ და ეხმარება. ამ მიზნით ყველა ქალაქის და კერძო სამშობიარო სახლებში, სადაც მშობიარეთა ნახევარზე მეტი ლოგრნმის, სოციალურ მზრუნველობას ყავს თავისი სპეციალური პირი მიჩენილი, რომელიც საჭიროა დახმარებას უწევს მშობიარეს და ახალ შობილს. მთელი რიგი პირები დადიან კერძო ოჯახებში და შინ მოლოგინებულებს ეხმარებიან. ცხობას აწვდის მათ სარეგისტრაციო განყოფილება, სადაც კანონით უნდა ჩაიწეროს ყოველი ახალშობილი პირველსავე დღეს. მთელი არმია სპეციალისტ-ექიმების და აღმშრდელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგების ქალაქის ყოველ უბანში უფასოთ აძლევენ რჩევა-დარიგებას შშობიარობასა და ბავშვის აღზრდაზე. განსაკუთრებით ყურადღება ეძლევა ყველაზე უპატრონოთ, ქოროწინების გარეშე შობილთ. ისინი სოციალურ მზრუნველობის აპეკის ქვეშ არიან. მზრუნველობა უწევს მათ პატრონობას, ეხმარება, ზრდის. ამკადამ ვენაში ასეთ ბავშვთა რიცხვი, რომელთაც ქალაქი ინახავს, 13.000 უდრის.

ფართოთაა დაყენებული საყრთოთ ღარის ბავშვების დახმარება, მათ ტან-ფეხი თვითღირებულების 10 პროცენტაცა ეძლევათ, ესე იგი მანუთინი საქონელი ორ შაურათ. არსებობს სპეციალურათ 7 პუნქტი, სადაც იძლევიან დარიგებას მძიმე აღსაზრდელ, უხასიათო ბავშვების გამოსასწორებლათ.

საბავშო ბალების რიცხვი ვენაში 57-ს უდრის, იქ ღარიბ ბავშვებს სულ უფასოთ იღებენ. დანაზრენებზე უმნიშვნელო გადასახადია შემოღებული. ასევე მცირე ფასათ ეძლევათ სასმელ-საჭმელი, ღარიბებს კი ესეც უფასოთ.

ᲩᲣᲛᲔᲚᲨᲘ მოსიარულე ბავშვებს ათვალიერებს ყოველ კვირაში სპეციალისტი ექიმი, ღარიბებს ამას გარდა ეძლევა უფასო ტანისამოსი, წიგნები, სასწავლო ნივთები და სხვ. და სხვ.

მარტო 1924 წელს ბავშვთა ხანგრძლივი მზრუნველობის შემთხვევა იყო 34.000. ერთდროული დახმარება ამაზე მეტი. ყველა დაწესებულებებს, რომელნიც მომავალ თაობის გაჯანმრთელებას და გაუმჯობესებას ემსახურება აქ ვერ ჩამოვთვლით, მაგალითისათვის აღვნიშნავთ: 70 მასაზღდებელი პუნქტი აქვს ქალაქს, აქვს აღებული საზაფხულო დასასვენებელი აგარაკები, სადაც ათასობითი ბავშვები ატარებენ ზაფხულს. ᲗᲣᲓᲛᲘᲗ სააგარაკო სახლებში ყავს არა ნაკლებ 500 სული ბავშვისა და სხვ.

ამ საქმეს სპრიდება რასაკვირველია გამოცდილი მოსამსახურენი, საქმის მცოდნენი, გულშემატკივარნი. სულ დაახლოვებით 5.000 კაცი ადგია ამ საქმეს. ამათთვის არსებობს სპეციალური 2 წლიანი კურსები მოსამზადებლათ.

დიდებზე მზრუნველობა იხატება პირველ ყოვლისა უმუშევართა დახმარებაში. ამაო ეძლევათ დახმარება განსაკუთრებული თანხიდან, რომლის 84 პროც. იხდიან მრეწველები, 12 პროც. სახელმწიფო, ხოლო 4 პროც. იძლევა თვითმართველობა. ამას გარდა ქალაქი ეხმარება მათ ბინით, ექიმით, ტანსაცმელით, იაფი საᲭმელით და სხვა... მოხუცთა და უძლურთათვის არსებობს თავშესაფარი, კარგათ მოწყობილი, პიგიენური, რაც მტკიცდება სიკვდილის რაოდენობის შემცირებით ომის წინადროსთან შედარებითაც კი. ასეთ მზრუნველობით შემცირდა საყრთოთ სიკვდილი, სნეულება და სხვა უბედურებათა რიცხვი. საზოგადება ჯანსაღდება, ცხოვრების სიამე იზრდება.

ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲐ. აქაც საქმე ფართე სოციალურ ნიადაგზეა დაყენებული; მიზანი იგივეა საზოგადოების ჯანმთელობის დაცვა და სნეულების შემცირება. ქალაქი რომ იცავს სისუფთავივე ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. უმთავრესია, რომ ის აჩვევს ამას მცხოვრებთ. პირველი ყურადღება ექცევა ბავშვებს. მათ ასწავლიან სისუფთავის დაცვას, განსაკუთრებით კბილების მოვლას. არის მათთვის მოწყობილი საზაფხულო ბანაები, რომელიც გასულ წელს 430.000-მა ბავშვმა გაიარა.

გადამდებ სნეულებასთან ბრძოლაში აღვნიშნავ შემდეგს: ვენერიულ ავათმყოფობასთან საბრძოლველათ გამართულია მრავალი უფასო საექიმო პუნქტები და საავათმყოფოები, რომელნიც უფასოთ წამლობენ ავათმყოფთ. არის ოოთობასთან მებრძოლი დაწესებულებები. დიდი მასშტაბით არის მოწყობილი ᲭᲚᲔᲒᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ: ამისთვის დაარსებულია 9 პუნქტი, რომელიც ზრუნავს, რომ სნეულება ამოიხრიან და მის გადადებას ხელი შეუშალოს. მათ 1924 წელს მოახდინეს პუნქტებში 20,000 გამოკვლევა სისხლის და ამდენივე ავათმყოფი ბინაზე ინახულეს, 5.000 სული საავათმყოფოებში გადაიყვანეს და სხვ. ქალაქს აქვს ამათთვის 2.000 ლოგინი თავის საავათმყოფოებში და რამდენიმე ასეული კერძოებში. ᲭᲚᲔᲒᲘᲐᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐᲗᲕᲘᲡ არის საექიმო კუროორტები, სადაც მათ უფასოთ აგზავნიან. სხვა მრავალ დაწესებულების აღნიშვნა შეიძლებოდა ამ დარგში, მარა ნათქვამიც, ვგონებ საკმაოა. ეხმარებიან, რასაკვირველია ყველას განურჩევლათ რწმენისა. პირიქით ასეთი დახმარება იზიდავს ხალხის ᲨᲘᲜᲐᲪᲘᲐᲡ. «ᲩᲔᲒᲔ გვინდა ვაჩვენოთ ვენის და მთელი ᲥᲕᲔᲧᲜᲘ მᲣᲨᲘᲡ და მოსამსახურეებს, თუ როგორ მართვენ სოციალდემოკრატები» განაცხადა თვითმართველობის ერთმა წევრმა ბრეიტნერმა. და მართლაც რომ აჩვენებენ.

სხვა დარგებზე შემდეგ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲔᲓᲘᲣᲜᲘᲝᲜᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ. *)

გაზეთ «კომუნისტი»-ს 2 დეკ. №-ში 1924 წ. მოთავსებულია საუბარი დელეგაციის ერთ ერთ წევრის, პერსელის, დასახელებულ გაზეთის წარმომადგენელთან. საუბარში გამოთქმულია აზრი, თითქოს საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ ევროპის და კერძოთ ინგლისის გაზეთებში ათავსებდენ არა სწორ ცნობებს საქართველოს მდგომარეობის და მომხდარ აჯანყების შესახებ,—ამიტომ საჭიროთ დავინახეთ ჩვენ, მეტეხის ციხე-სიმაგრიში მყოფ პოლიტიკურმა პატიმრებმა, მოგაწოდოთ თქვენ, ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენელს, სწორი ცნობები იმისა, რისი გაგებაც ჩვენ შეგვძლით, აჯანყებულ ადგილებში დაპატიმრებულ და აქ ჩამოყვანილ ამხანაგების საშუალებით. ესენი იყვნენ აქტიური მონაწილენი და მოწმენი დასახელებულ გამოსვლებისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ გადასცემთ ჩვენ ძმურ სალამთან ერთათ ინგლისის პროლეტარიატს ნამდვილ სურათს ამა წლის აგვისტო-სექტემბერში მომხდარ ამბების და იმ სიმინელების შესახებ, რომელიც გადაიტანა თავის უფლებებისათვის მებრძოლმა ტანჯულმა ქართველმა ერმა.

რა მოხდა თფილისში:

აჯანყების დღეებში აგვისტოს დამლევს და სექტემბრის დამდეგს თფილისის საპყრობილეებიდან, ამიერ-კავკასიის. საქართველოს და რკინის გზის საგანგებო კომისიებიდან (ჩეკა), აგრეთვე საპატიმროს საავთმყოფოდან გაყვანილ და დახვრეტილ იქნენ დიდი ხნით წინ, აჯანყებამდის, 1922, 1923, 1924 წ.წ. დაპატიმრებულნი, რომელნიც არც დროით და არც ფიზიკურათ დაკავშირებულნი არ იყვნენ დასახელებულ გამოსვლებთან: 30 და 31 აგვისტს, 1, 2 და 3 სექტემბერს მეტეხის ციხე-სიმაგრიდან წაიყვანეს და დახვრიტეს—წინასწარ სასჯელის გამოუცხადებლათ 146 პოლიტიკური პატიმარი, რომელთა შორის იყვნენ თავდადებული ძველი რევოლიუციონერები და სოციალისტები, ათ წლობით ციმბირში და კატორღაში ნაპყოფი მოღვაწენი, საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრები, მწერლები და ჟურნალისტები, პროფკავშირების მოღვაწეები, კოოპერატორები, უმეტესობა გლეხები და მუშები, აგრეთვე ბევრი თავგანწირული ეროვნული მოღვაწენი და საუკეთესო ჩვენი ოფიცრობა. ამათ შორის ნაწილს მოხდილი ქონდათ სასჯელი, ელოდენ განთავისუფლებას, და ნაწილის საქმეები (არა აჯანყებასთან დაკავშირებული) იყო ძიებაში.

სამივე ზემო დასახელებულ საგანგებო კომისიებიდან (ჩეკა) წაყვანილ და დახვრეტილ იქნენ 120 ამხანაგი, რამოდენიმე შორის იყო რამოდენიმე ქალიც.

ეგრეთ წოდებულ საგუბერნიო ციხედან (გამსახლი № 1), გაიყვანეს და დახვრიტეს 7 კაცი.

ციხეების საავადმყოფოდანაც გაიყვანეს მძიმე ავათმყოფები რიცხვით 14 კაცი და დახვრიტეს.

საქართველოს სხვადასხვა ადგილებში:

1. ქ. ბათუმში დახვრეტილ იქნა 100-მდე კაცი.

2. ქ. სამტრედიის რაიონში (ახლო მდებარე სოფლებით), დახვრეტილია დაახლოჯებით 90 კაცი.

3. ქ. ფოთში დახვრეტილია 20 კაცი.

4. ქ. ოზურგეთში დახვრეტილია 8 კაცი.

5. სამეგრელოში (ზუგდიდის და სენაკის მაზრებში), დახვრეტილია 800 კაცი, დიდი უმრავლესობა (90 პროც.) ამათი იყო სოფლის მშრომელი გლეხკაცობა.

6. ქ. ქუთაისში დახვრეტილია 300 კაცი მათ შორის ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები და მოწინავე მუშები, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს არქიეპისკოპოსი მიტროპოლიტი ნაზარი.

---

*) მოგვეყავს წერილი, რომლითაც თფილისის მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმრებმა მიმართეს «ინგლისის ტრედუნიონთა დელეგაციას».

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ქ. ქუთაისის მაზრაში (ხონი, ბაღდადი და მათი რაიონები) დამსჯელმა ექსპედიციებმა მოახდინეს საშინელი განადგურება, გადასწვეს სახლები, წაართვეს ბლეონმას სარჩო საბადებელი და დახვრიტეს 150 კაცი.

8. ქ. ჭიათურაში, სადაც არის მხოლოდ მუშური მოსახლეობა (მადაროს მუშები), და ქ. ზესტაფონში დახვრეტილ იქნა 200 კაცი, მეტად საშინელ პირობებში, ტუსაღები ყავდათ საბარგო ვაგონებში და შიგვე იქნენ ჩახოცილნი ტყვიის-მფრქვეველით. ამ საშინელი ვერაგობის მოწამეა ადგილობრივი მცხოვრებლები.

9. რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში დახვრეტილია 300 კაცი.

10. ზემო სვანეთში ბრძოლა სწარმოებდა 25 სექტემბრამდე. ჩვენ შევძელით გამოგვიკვია მხოლოდ შემდეგი: მსხვერპლი დიდია; 14 კაცი კი სვანეთიდან წაყვანილ და დახვრეტილ იქნენ სამეგრელოში.

11. ქ. ხაშურში დახვრეტილ იქნა 29 კაცი.

12. ქ. გორში დახვრეტილ იქნენ ყველანი, ვისი დატუსაღებაც კი მოასწრეს, დაახლოვებით 400 კაცამდე.

13. გორის მაზრის რაიონში დახვრეტამ მიიღო ისეთი მასიური ხასიათი, რომ იქიდან ჩამოყვანილი პატიმრები აგვიწერენ საშინელ. წარმოუდგენელ სურათებს განუკითხავი ხოცვა-ჟლეტისას. მათი ანგარიშით გორის მაზრის ყველა რაიონებში (თვით ქ. გორის გარდა) დახვრეტილთა რიცხვი აღწევს 500 კაცს, რომელთა შორის იყო: 26 მღვდელი, 2 ქალი და დანარჩენი მშრომელი გლეხკაცობა და ინტელიგენცია.

14. დუშეთში და მის მაზრაში, სადაც დახვრეტის დროს მოხდა ხელჩართული ბრძოლა გლეხ-კაცობასა და დამსჯელებს შორის, დახვრეტილ იქნა დაახლოვებით 150 კაცი.

15. კახეთში (თელავის და სიღნაღის მაზრა) ამოწყვეტილია დიდი ნაწილი ყოფილ თავად-აზნაურობისა, რომელთა უმრავლესობა მეევნახეობით და სოფლის მეურნეობით ირჩენდა თავს. დახვრეტილ იქნა აუარებელი მშრომელი გლეხკაცობა და სოფლის ინტელიგენცია. დახვრეტილთა რიცხვი აღწევს ორთავე მაზრებში 300 კაცს. ამ ცნობას ადასტურებს ნაწილობრივ ოფიციალური ცნობებიც.

16. ბორჩალოს მაზრაში მაჰმადიანთა და ქართველთა შორის დახვრეტილ იქნა 70 კაცი.

17. მანგლისის და სართიჭალის რაიონში (თფილისის მაზრა) დახვრეტი იქნა 200-მდე კაცი.

18. აფხაზეთიდან და ახალციხე-ახალქალაქის რაიონებიდან დაპატიმრებულები აქ მეტეხში არ ჩამოუყვანიათო, ამიტომ ჩვენ შეძლება არ გვქონდა გამოგვერკვია იქ დახვრეტილთა რიცხვი.

ამრიგად მთელ საქართველოში დახვრეტილთა და დახოცილთა რიცხვი, რამდენათ ჩვენ შევძელით აქ მოყვანილ პატიმართა ცნობებით გამოგვერკვია, აღწევს სამიათას ცხრაას თვრამეტ კაცს.

ჩვენ არ გვაქვს მიზნათ დახასიათება და შეფასება იმ ამბების, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში აგვისტოში და სექტემბერში, აგრეთვე დახასიათება იმ დიდი ეროვნული ბრძოლის, რომელსაც ეწეოდა ქართველი ერი ამ 4 წლის განმავლობაში. ჩვენ გადმოგვცეთ მხოლოდ მშრალათ მოკლე ცნობები იმ მსხვერპლისა, რომელიც მოჰყვა დასახელებულ ამბებს.

აღვნიშნავთ მხოლოდ:

1. ამ აჯანყებას ჰქონდა სახალხო, მასიური ხასიათი; გაუგონარი ენტუზიაზმით გამოვიდა მთელი ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მუშა და გლეხი, ნასწავლი და უსწავლელი, მღვდელი და ყოფილი აზნაური—ყველა, ჯერ არ ნახული აღფრთოვანებნები ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლათ. ამას მოწმობს ოფიციალური წყაროები საბჭოთა გაზეთების (გაზ. «ყომუნისტი» 234) და სინამდვილე, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და ყველგან, სადაც საერთოთ გამოსვლა კი მოხდა.

2. საბჭოთა ხელისუფლებამ გაუგონარი სისასტიკე და ვერაგობა გამოიჩინა იმ ადგილებშიაც, სადაც გამოსვლებს არ ჰქონია ადგილი. ასობით დახვრიტეს უდანაშაულო ხალხი ხაშურში, სიღნაღში, თელავში, გორში, ქუთაისში და სხვაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კომუნისტურ პარტიის ლიდერები ადიარებენ აშკარათ (კომუნისტი № 256), რომ მიზეზი ამ გამოსვლებისა არის მათი პოლიტიკაც გლეხობის მიმართ, სარწმუნოების უთავბოლო დევნა, შეგიწროება სახოგადოებრივი ინიციატივის და სხვა.

აღვნიშნავთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ, მიაწვდინოთ ინგლისის მუშათა კლასს სიმართლე იმ სინამდვილის შესახებ, რომელიც მეფობს სისხლიდან დაცლილ მრავალ ტანჯულ საქართველოში.»

ᲓᲐᲛ. ᲙᲝᲜᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ «ᲒᲣᲠᲯᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ» ᲛᲔᲢᲠᲘᲮᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ.

(რედაქცია საშუალება აქვს გამოაქვეყნოს სწორი ანგარიში იმ საუბარისა, რომელიც ჰქონდათ დამოუკიდებელ კომიტეტის წევრებს ეგრეთ წოდებულ გერმანელ დელეგაციასთან, 1925 წლის 5 აგვისტოს მეტეხის ციხეში).

«დელეგაციას თან მოჰყავა საქართველოს კომპატრიის ცეკას და საქართველოს ცაკის წევრი ვანო სტურუა. საკანში შემოსვლისთანავე სტურუამ გააცნო დელეგაციას პატიმრები და დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, კოტე ანდრონიკაშვილი. დელეგაციამ მოისურვა ანდრონიკაშვილის ვინაობის და მისი წარსულის გაცნობა. როცა ამ წინადადებით რუსულ ენაზე მიმართა ანდრონიკაშვილს თარჯიმანმა, რომელიც დელეგაციას მოჰყავა. ანდრონიკაშვილმა განაცხადა პასუხის მიცემის თანხმობა. ხოლო მოითხოვა. რომ საუბარი მომხდარიყო ქართულ ენაზე, ვინაიდან დელეგაცია მობრძანდა საქართველოში. საცა სახელმწიფო ენათ ითვლება ქართული და არა რუსულია.

ვ. სტურუა: ამხანაგო ანდრონიკაშვილო, განა სულ ერთი არაა, რა ენაზეცაც ესაუბრებით?

კ. ანდრონიკაშვილი: არაა სულ ერთი.

თარჯიმანი: სამწუხაროთ მე ქართული არ ვიცი და დელეგაცია კი ძალიან დაინტერესებულია გიგიოს ნამდვილი ისტორია თქვენი სამშობლ.

ანდრონიკაშვილმა, გამოსთქვა რა მწუხარება, რომ თარჯიმანმა ქართული არ იცის, დასთანხმდა პასუხი მიეცა რუსულ ენაზე, შექმნილ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ. მან მოკლეთ გადასცა თავისი ბიოგრაფია, სხვათა შორის აღნიშნა, რომ მეფის დროს სასამართლომ, რომელმაც მას პოლიტიკურ საქმეზე სამუდამო ციმბირი მიუსაჯა, აკყარა თავადობა და მასთან დაკავშირებული ყველა უპირატესობანი, ხოლო საბჭოთა მთავრობამ 1924 წლის აგვისტოში მომხდარ აჯანყების გამო ადადგინა ის თავადის უფლებებში სპეციალური განცხადებით, რომლითაც ქვეყანას ეუწყა, რომ «აჯანყებას სათავეში ჩაუდგა თავადი ანდრონიკაშვილიო». მიუხედავათ იმისა, რომ მთელი თავისი რევოლიუციური წარსულით და მოღვაწეობით მან ხელი აიღო თავადობაზე და პრივილეგიებზე. ბიოგრაფიის მოსმენის შემდეგ ერთ-ერთი დელეგატთაგანი შეეკითხა ანდრონიკაშვილს: «აი ბევრს სწერენ, რომ საბჭოთა ციხეებში აწამებენ პოლიტიკურ პატიმრებს—მართალია ეს თუ არა?»

ანდრონიკაშვილი: დიახ, მართალია, წამებას ჰქონდა და აქვს ადგილი. მე გთხოვთ, როდესაც დაათვალიერებთ საგანგებო კომისიის შესახებ,[1]) იქ ინახულონთ ბნელი და ნესტიანი სარდაფები № № 23 და 24. და დარწმუნდებით რა საშინელ პირობებში ამყოფებენ ზოგიერთ პატიმრებს. კერძოთ ჩვენს მიმართ, ამ საქმეზე გასამართლებულთა მიმართ, არ უხმარიათ წამება, საზოგადოთ კი იყო. წამების საილუსტრაციოთ მოვიყვან მაგალითს: აჯანყებამდე დაპატიმრეს ახალგაზდა სტუდენტი, სვანიძე. ყავდათ ბნელ ნესტიან სარდაფში, სცემდენ, ერთი მხარი ამოუგდეს. ამის მნახველნი არიან. ჩვკას უნდოდა ამ ზომებით მისი გამოტეხა, მაგრამ ახალგაზდა რევოლიუციონერი იტანდა ამ წამებას გმირულათ. როცა ჩვკა ვერას გახდა, წამებული ახალგაზდა დახვრიტეს. ასეთი წამება იყო სხვების მიმართაც.

---

[1]) «დელეგაციას» არ უნახავს თუ არ ანახვეს ჩეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი დელეგატი: გეძლევათ თუ არა თქვენ გაზეთები, სეირნობა და საზოგადოთ ხართ თუ არა შევიწროებული ციხეში?

ანდრონიკაშვილი: მე ვვრნებ, რომ დელეგაციას უფრო ინტერესებს აჯანყების ისტორია და სასამართლოს განაჩენი, ვიდრე გაზეთების საკითხი, ამიტომ უკეთესი იქნება მოისმინოთ პირველის შესახებ (დელეგატები ერთხმათ თანხმობას აცხადებენ და იღებენ ხელში უბის წიგნებს).

მე დავიწყებ სასამართლოს განაჩენიდან. უნდა მოგახსენოთ, რომ განაჩენი მეთაურების მიმართ ლმობიერია. მხოლოდ მისი მოტივები ყოველთა დაუშვებელი და ამაღელვებელია. ეს მოტივები განმეორებაა საბრალდებლო დასკვნისა, რომელიც აშენებულია მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულობაზე, თითქოს ის ჩაედინოს დამოუკიდებლობის კომიტეტს და მის შემადგენელ პოლიტიკურ პარტიებს. ეს დანაშაულობანია: მკვლელობა, დაცემა, გაძარცვა, მატარებლების დამტვრევა, შანტაჟი და სხვა. უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც სასამართლოში გამოირკვა, არც ერთი ნაჩვენები მოქმედება არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი, გარდა ორი მკვლელობისა, რომელიც არ შეადგენდა არც ერთი პოლიტიკური პარტიის და არც დამ. კომ-ის ნამოქმედარს. მიუხედავად ამისა სასამართლომ მაინც შეიტანა თავის განაჩენში ეს არადამტკიცებული სისხლის სამართლის მოქმედებანი, რა თქმა უნდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პარტიების და ჩვენი პროგრესებების დასამცირებლათ. ან თქვენს წინაშე იმყოფებიან ძველი პოლიტიკური მოღვაწენი. ზოგიერთების 25 წელიწადზე მეტი პოლიტიკური სტაჟი აქვთ, არიან ძველი მუშები, როგორც გრიგოლ ცინცაბაძე, ნაპოლეონ კახიანი, რომლებიც 25 წელზე მეტია მუშაობენ ს. დ. პარტიაში, და ეხლა თქვენ დასაშვებათ მიგაჩნიათ, რომ ეს პირნი იყვნენ ბანდიტები, ტერორისტები? მეორე ბრალდება, რომელიც ჩვენ წამოგვიყენეს და რომელიც აგრეთვე ვერ დაგვიმტკიცეს—ესაა ინტერვენცია. საგულისხმოა, რომ თვით სასამართლომ მოგვხსნა სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ინტერვენცია. ხოლო იმათ, ვისაც დახვრეტა მიუსაჯეს, განაჩენში სასამართლომ მაინც ჩაუთვალა ეს მე-60 მუხლი—იმ მოსაზრებით, რომ რაკი ამით აჯანყება მოაწყვეს, ალბათ იქნებოდნენ ინტერვენციის მომხრეებიო. მე შევაჩერებ ცოტა ხანს თქვენს ყურადღებას ამ ინტერვენციაზე. ჯერ ერთი: ჩვენ როგორ ვიქნებოდით ინტერვენციის მომხრე, როდესაც მთელი ჩვენი ბრძოლა და აჯანყება იყო მიმართული სწორედ ინტერვენციის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს მიმართ 1921 წელს. ჩვენ რომ გამოვსულიყავით ინტერვენციის მომხრეთ, ამით ჩვენ მხოლოდ გავამართლებდით საბჭოთა რუსეთის ინტერვენციას ჩვენში.

მეორე: თვით საბჭოთა კანონი—სახელდობრ მე-60 მუხლი—გარკვეულათ ხსნის ინტერვენციას: 1—როდესაც ცდილობენ გამოიწვიონ უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალებით შინაურ საქმეებში ჩარევა; 2—აწყობენ სამხედრო ექსპედიციების გადმოგზავნას; 3—ცდილობენ უცხო ქვეყნებს გამოაცხადებინონ მაი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ვერც პირველი და ვერც მეორე ვერც დაამტკიცეს და ვერ დაამტკიცებენ, რადგან არ ქონდათ არც ერთი დოკუმენტი და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ. მესამე ხომ თავისთავათ აშკარაა, რადგან არავითარი ომი არ ყოფილა. საქართველოს ოკუპაციის დღიდან გასული დემოკრატიული თავარობა იქ, ევროპაში, და ჩვენ აქ ვცდილობდით საქართველოს სასარგებლო გაწყობილება შეგვექმნა ევროპის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში, ვცდილობდით, რომ ევროპის სახელმწიფონი დიპლომატიურათ ჩარეოდნენ ჩვენს საქმეში, მაგალითათ, მიეცათ წინადადება გაეყვანათ საქართველოდან რუსის ჯარი; ვაძლევედით წინადადებას სოციალისტურ ინტერნაციონალებს და კომინტერნს შეედგინათ კომისია, რომელიც რეფერენდუმის მოხდენით საქართველოში გამოარკვევდა, თუ რომელ მართველობას არჩევენ ქართველი ხალხი: საბჭოთა სისტემას თუ დემოკრატიას? ასეთი დიპლომატიური და სოციალური ჩარევისათვის მუშაობის უფლება ჩვენ გვქონდა, მით უმეტეს, რომ საქართველო იყო ცნობილი იურიდიულათ ჯერ თვით საბჭოთა რუსეთის და შემდეგ ევროპის სახელმწიფოების მიერ. თუ ასეთი ჩარევა ინტერვენცია არის, მაშინ ჩვენ ინტერვენციის მომხრენი ვყოფილვართ.

მესამე და ნამდვილი ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ—ეს აჯანყებაა. ეს ბრალდება ჩვენ კიდევაც ვიკისრეთ. ეხლა, რით იყო გამოწვეული ეს აჯანყებაა?» აქ ამბ. კ. ანდრონიკაშვილი მოუთხრობს «დელეგატებს» საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოზე თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხმას და მის ოკუპაციას. «ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ უფლებების» ლაზარ დგებნით და დასაცავად მოვალე იყო გამოსულიყო როგორც ნაციონალისტები, ისე სოციალისტები. და მართლაც საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთდენ ყველა ქართველი პოლიტიკური პარტიები: სოც.-დემოკრატები (ბენშევიკები), სოც.-ფედერალისტები, სოც.-რევოლიუციონერები, ნაციონალ-დემოკრატები და დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატები (სხიველები). მართალია, პირველ ხანს ეს პარტიები აქტიურ ბრძოლას არ დასდგომიან, პირიქით ცდილობდენ გამოეწახათ ახალ ხელისუფლებასთან საერთო შემარიგებელი ენა, რათა ყველა სადაო საკითხები მშვიდობიანი გზით ყოფილიყო გამორკვეული. ი საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში. საოცარსაკო მთავრობა არ წყვიდა ამ გზით. მან არჩია რეპრესიები და შეუდგა პოლიტიკური მოღვაწეების დაპატიმრებას ჯერ შიგა და შიგ, მერე კი ხელი მიყო მასიურ დაპატიმრებას, გადასახლებას და სხვ... როდესაც მთავრობამ ამას პოლიტიკურების დახვრეტაც მოაყოლა, მორიგებაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტი იყო. პოლიტიკური პარტიებიც აქტიურ ბრძოლას შეუდგენ და მათგან დაარსებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა გადასწყვიტა 1924 წ. აგვისტოში აჯანყების მოხდენა. აჯანყება, მართალია, დამარცხდა (იმას თავის მიზეზი ჰქონდა), მაგრამ ეს აჯანყება იყო ხალხური, მასიური, ძლიერი დასავლეთ საქართველოში, შედარებით სუსტი აღმოს. საქართველოში. თფილისში არ გამოვსულვართ, რადგან ის მიგნით იყო გამგარებული რუსის ჯარებით. ჩვენ ვაპირებდით თფილისის გარედან ალებას, ვაქცევ თქვენ ყურადღებას, რომ აჯანყებება ჩაქერეს რუსის ჯარის საშუალებით. კომუნისტები ცდილობენ ავანტიურათ გამოიყვანონ ეს აჯანყება. მაგრამ აჯანყების სიძლიერე და უამრავი მსხვერპლი, რომელიც შედეგად მოყვა მთავრობის უღმობელ ზომებს, ამტკიცებს წინაადმდეგს. მარტო დახვრეტილთა რიცხვი 3.000 აღემატება; მთავრობა ხვრეტდა არა თუ ბრძოლაში ტყვეთ ჩავარდნილ აჯანყებულთ, არამედ ისეთებსაც, ვისაც არავითარი მონაწილეობა აჯანყებაში არ მიუღია. ციხეებიდან გამოყავდათ ასობით პოლიტიკური პატიმარნი და ხვრეტდნ.—ხვრეტდენ არა მარტო იმ პატიმრებს, რომლებიც იმყოფებოდენ საქართველოს ციხეებში, არამედ დახვრიტეს ისეთნიც, რომელნიც რუსეთის საპყრობილეებში იყვენ გაგზავნილნი. ასე გამოიყვანეს სუფდალის საიზოლიაციო ციხიდან და დახვრიტეს ცნობილი მოღვაწე რევოლიუციონერები: ნოე ხომრიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გ. ფალავა, ვასო ნოდია და გ. წინამძღვრიშვილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეამბოხენი ღმობიერთან ეპყრობოდენ ტყვეთ წაყვანნილ კომუნისტებს, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ტყვეთ წაყვანილი კომუნისტების დახვრეტისა. ცენტრიდან მიცემული იყო სასტიკი დირექტივა, რომ ასეთ დახვრეტას ადგილი არ ქონოდა და ეს კიდევაც სრულდებოდა. მაგალითათ აქ მყოფი პატიეცემული ვანო სტურუა სხვეთან ერთათ ტყვეთ იყო წაყვანილი, მაგრამ დღესაც ცოცხალი ბრძანდება.

აჯანყების დამარცხებასთან ერთათ 4 სექტემბერს ჩვენ, მეთაურები, დაგვაპატიმრეს. იმ ღამესვე გაგვთოკეს და მივყავდით დასახვრეტათ, მაგრამ ამ დროს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ბერიიმ წინადადება მოგვცა, გამოგვეშვა მოწოდება აჯანყებულებისადმი, რომლებიც კიდევ შიგა და შიგ განაგრძობენ ბრძოლას,—რომ მათ დაეყარათ იარაღი, რათა შეიერებულიყო უაზრო სისხლის ღვრა და მასიური ხვრეტა, რომელსაც განაგრძობდა ხელისუფლება. თანაც დაუმატა, რომ თუ მოწოდებას გამოვაშვებდით, ხვრეტას შეაჩერებდენ, მარა ერთი პირობით კი, მომხდარ აჯანყებისათვის უნდა გვეწოდებინა ავანტიურა. ჩვენ კარგათ ვგრძნობდით ჩვენ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე და გვინდოდა შეგვეჩერებინა ასობით უდანაშაულო ხალხის დახვრეტა და უკვე უმნიშვნელო შეტაკებები. ეი ამიტომ დავთანხმდით სიტყვა ავანტიურაზე. მოწოდების დასაწერათ გაგვიხსნეს ხელები. მოწოდება გამოჭვეყნდა და უნდა ითქვას სიმართლე, რომ მასიური ხვრეტაც შეჩერდა. აჯანყებულებმა თანახმათ ჩვენი მოწოდებისა ჩაბარაეს იარაღი ხელისუფლებას. დასახვრეტათ გამოშზადებული ვიყავითო: მე, გ. ჯინორია (სოც.-დემოკრატები), მიხ. ბოკორიშვილი (სოც.-რევ.), იასონ ჯავახიშვილი და მიხეილ ინშხელი (ნაც.-დემოკრატები).

ყველა ეს მოგახსენეთ არა იმიტომ, თითქოს ჩვენ შემოგჩივოდეთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებაზე. მე მოგახსენეთ ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ თქვენი საშუალებით გერმანიის და ევროპამ იცოდეს სინამდვილე საქართველოს და კერძოთ აჯანყების შესახებ, რადგან კომუნისტური პრესა არ იძლევა სწორ ინფორმაციას.

შემდეგ ამხ. ანდრონიკაშვილმა გააცქო დელეგატებს თავის დეკლარაციის შინა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არსი, რომელიც სასამართლოში გააკეთა, და მადლობა გადაუხადა ნახვისა და მოსმენისათვის, რაც სხვა დელეგაციებს არც კი მოუსოფლიებიათო.

დელეგატებმა თავიის მხრივ გაუზიარეს თავის შეთბეუდილება რუსეთის მდგომარეობაზე და გამოსთქვეს სურვილი მუშათა საერთო ფრონტის აღდგენის.

ანდრონიკაშვილმა განუცხადა, რომ მას სწამს, რომ ასეთი გაერთიანება მოხდება მე-2 ინტერნაციონალის მეთაურობით და იმ იდეების ნიადაგზე, რომლის გამომხატველია კ. კაუცკი და გერმანიის სოც.-დემოკრატია.

დელეგაციასთან საუბარი ამაზე შეწყდა. აღსანიშნავია, რომ საუბრის დროს ხშირათ შემოდიოდენ შიკრიკები და წინადადებას იძლეოდენ მალე დაეთავებიათ საუბარი. ამის გამო მრავალი საგულისხმო კითხვები და განმარტებები მოკლეთ იქნა გარკვეული ან სრულიად უპასუხოთ დარჩა.

ᲝᲥᲝᲜᲯᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

მოხდა სამარცხვინო და აღმაშფოთებელი ამბავი, რომლის დროსაც სიცოცხლეს გამოესალმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ორი მებრძოლი ეფრემ ქარცივაძე და ჩვენი პარტიის წევრი გიორგი დოლიძე.

რა გასაკვირალია, რომ ქართველ ერის მოდალატენი სიხარულით ფეხზე ველარ დგებიან და ზეიმობენ.

სხვანირათ ჩეკისტებს არც შეუძლიათ. აკი საქართველოს საოკუპაციო ძალაუფლების მორიგი მნიშვნელოვანი საქმე—ემიგრაციის დაშლაა. ამით აიხსნება ის ბარბარობება, რომ საზოგადოების თვალის ასახვევად ლამობენ საქმის ნამდვილი ვითარება მიაფიქრეონ და მით ფარდა გადააფარონ იმ ბნელ მოღალეწეობას, რასაც ოდენკურში აწარმოებდენ ბ.ბ. ცოტაძენი და ნიკ. ღამბაშიძენი. ჯერ კიდევ სავსებით გამორკვეული არაა მთელი მათი საქმიანობა. მაგრამ რომ მათი ბნელი ხელი მუშაობდა ოდენკურის წყლის ასამღვრევად და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა სხვა და სხვა ჯგუფების ერთი მეორეზე გადასაკიდებლათ, ეს არავისთვის სადაო არ არის.

სამწუხაროთ მათი განზრახვების განხორციელებისათვის შესაფერი ნიადაგიც აღმოჩნდა. უცხოეთში მყოფ ქართველთა სხვადასხვა წრეებში აქა-იქ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელნიც დღესაც იმასვე ქადაგობენ, რასაც ხშირათ ამბობდა გრ. ვეშაპელი თავისუფალ საქართველოში: რათ გვინდა ისეთი დამოუკიდებლობა, თუ ქვეყნის მეთაურებთან კვლავ მენშევიკები დარჩებიანთ! სამშობლოს ოკუპაციამ ვეშაპელთა არა ერთისა და ორ მიმდეკარს თვალები აუხილა და ამიტომაც საქართველოში დამოუკიდებლობის აღსადგენთან ყველა პარტია და მთელი ერი გაერთიანდა. მაგრამ უცხოეთში ისეთი სულიერი ერთობა ჯერ კიდევ არ დამყარებულა. სოციალისტურ წრეებზე წასასინანებს, მიუხედავად მთლიანი ეროვნული ფრონტის აღდგენისა, აქა-იქ ადგილი მაინც აქვს. ასეთ კამპანიას ბანს აძლევენ «გაწითლებულნი» (უკეთ საბჭოთა ჯამბაგირზე გადასული) გრ. ვეშაპელი და მისი აგენტები. ამ გზით სხვა და სხვა მხრიდან ძველი პოლიტიკა გრძელდება და მით რუს ბოლშევიკთა და მონარქისტთა, ე. ი. აწინდელ და მომავალ რუსეთის იმპერიალიტთა საქმე კეთდება.

ამას დაურთეთ ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება სამშობლო ნიადაგს მოშორებული ყოველი მებრძოლი. საქართველოში ის ერის სადარაჯოზე იდგა და მის განთავისუფლებას თავის ძალთა მიხედვით ემსახურებოდა. აქ კი ის ბრძოლის ასპარეზს მოკლებულია და ამიტომაც ძალაუნებურათ ნერვიულია. აი საუკეთესო ნიადაგი აშკარა და ფარულ პროვოკატორთა სამოქმედოთ.

ასე შეიქნა ძმიმე ატმოსფერა და უგუნურობასა და პროვოკაციას გასაქანი მიეცა.

სამწუხაროთ ოდენკურის სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია ზოგიერთ შინაგან პირობათა გამო სუსტი აღმოჩნდა ბნელ ძალთა მახინაციების ჩასაშლელათ და აღმაშფოთებელ შეტაკების თავიდან ასაცილებლათ.

ეშვს გარეშეა ახლო მომავალში ამ შეტაკების ფარდა სავსებით აეხდება, დამნაშავეთა ვინაობა გამოაშკარავდება და მათ ქართველი ერი სამარცხვინო ბოძზე გააკ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რავს. მებრძოლი ხალხი არ დაინდობს არავის, რანაირიც არ უნდა იყოს მისი წარსული, ვინც საქართველოს მტერთა სასიხარულო საქმე მოაწყო.

მას გადაჭრით დაგმობს ყველა შეგნებული ქართველი განურჩევლათ რწმენისა და მდგომარეობისა, არა მხოლოდ იმიტომ რომ ამ ფაქტით სარგებლობენ საქართველოს განთავისუფლების მტერნი, არამედ იმიტომაც, რომ იარაღის ხმარება შეხლა-შემოხლის დროს არის ჩეკისტური მეთოდი და ამტკიცებს, რომ საშუხარით თითოოროლა პირს საკმაოთ შეუთვისებია ბოლშეეიკური ზნე-ჩვეულება.

ყველა ქართველის, სადაც არ უნდა იყოს ის, წმინდა მოვალეობაა ყოველი ზომა მიიღოს, რომ ასეთ მეთოდებს და მსგავს შეხლა-შემოხლას ადგილი არ ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაში.

მაგრამ ჩეკისტთა და მოსყიდულ კალმოსანთა ზეიმი ნაადრევია. ეს მწარე გაკვეთილი თვალს აუფეს არა ერთსა და ორ გზაკვალ აბნეულს. გათხრილი საფლავები გამოახელიან თვალს თვით ბრმათაც, და საერთო ძალას საერთო მტრის ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართვიებს. ხოლო ამრევთა და ორგულთ გარიყავს და თავიდან მოიშორებს.

ამის ნიშნები უკვე სჩანს.

ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲮᲕᲐᲠᲞᲚᲝ.

(გიორგი დოლიძის და ეფრემ ქარცივაძის ხსოვნას)

უგუნურ შეტაკებებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ოდენკურის ქარხნებში მომუშავე ქართველ ემიგრანტთა შორის თებერვლის ბოლო რიცხვებში, შეიწირა ორი ადამიანის სიცოცხლე: გიორგი დოლიძის და ეფრემ ქარცივაძის.

ბრმა ტყვიამ თითქოს განზრახ აირჩია ეს ორი მსხვერპლი, რომ მომხდარის უგუნურება და უაზრობა განსაკუთრებით აშკარა გამხდარიყო.

გ ი ო რ გ ი დ ო ლ ი ძ ე ახალგაზდა (32 წლის) კაცი იყო, გურიის სოფელ ბახვის ღარბი გლეხის შვილი, შრომაში და გაჭირვებაში აზზდილი, სამაგალითო სოფლის მუშა, გურიის შეუძლო გლეხის ის მკვირცხლი, ჯონებამახვილი და შეგნებული ტიპი, რომელიც შვადგენს ამ კუთხის ხალხური მოძრაობის საფუძველს და სიძლიერეს. სოფლის სკოლა დამთავრებული, ჩვენი ქვეყნის საპირბოროტო კითხვებში საკმაოთ გარკვეული, მშრომელი ხალხის შვილი გიორგი ემხრობოდა სოციალდემოკრატიულ პარტიას და თავის კუთხეში განზიარებული ჰქონდა მისი ჭირ-ვარამი, ტკივილები და სიხარული. გიორგი იშვიათი მოსაუბრე იყო და ჩვენ არ მოგვისმენია უფრო დასურათებული, ჯონებამახვილი და ცოცხალი აღწერილობა გურიის ხალხის მოძრაობისა ოკუპანტების წინააღმდეგ, ვინემ მისი მოთხრობა. განმთავიისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულმა, მან მის მოხუც დედასთან ერთად (რომელიც ხელითაც კი შეურაცყვეს ჩეკის ჯალათებმა მისი ტყვეთ გაპრილი უმცროსი შვილის გამო) იგემა ოკუპანტების დევნა, დატუსაღება, ოზურგეთის ჩეკა. 1925 წლის 28 აგვისტოს დამეს გიორგი ერთი ხელმძღვანელთაგანია თუმის ხელისუფლების და კომუნისტების განიარაღების და შემდეგ დღეებში—აჭიკური მოხაწილე ყველა ბრძოლების აჯანყებულთა და რუსის ჯარებს შორის. აჯანყების დამარცხების შემდეგ ის და მისი უმცროსი ძმა იარაღით ხელში გამოვიდენ საქართველოდან და შეეხეხნენ საფრანგეთს. გიორგი იშვიათი მუყაითი კაცი იყო და ოდენკურის ქარხანაში მალე სამაგალითო მუშად იქნა მიჩნეული; მუშაობდა ზედმეტს, რათა უპატრონოთ დარჩენილ მის ობოლ ძმისწულებისათვის ხელი გამემართა. წყნარი, მშვიდი ხასიათის, მოსიყვარულე გიორგი საუცხოო ამხანაგი იყო დადა იდგა გარეშე იმ უაზრო და სამარცხვინო ურთიერთშორისი უკმაყოფილებისა და შეტაკებებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა ოდენკურის ქართველ ემიგრაციის რიგებში. უკანასკნელ სამარცხვინო სისხლიან შეტაკებებში მის თუ რაიმე როლი ჰქონდა, მხოლოდ დამამშვიდებელის და მომრიგებელის და სწორეთ ბრმა ბედისწერის ირონიაა, რომ უგუნური ხელით გასროლილი ტყვია გიორგის მიწვდა. ჯანღონით, სიცოცხლით და იმედით აღსავსე გურულ მშრომელს, რომელიც ჩეკის ჯალათებს და წითელ არმიელების ტყვიებს გადაურჩა, შორეულ საფრანგეთში გაეთხარა საფლავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფრემ ქარცივაძე 70 წლის კაცი იყო. ისიც გურული, გამრჯელი და მზნე, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა. გასაოცარი, არაჩვეულებრივი იყო ამ კაცის ჯანი, სიმტკიცე, შრომის უნარი და აგრეთვე იმედიანობა. ოდენკურში ის არ კმაყოფილდება ყოველდღე ქარხანაში მუშაობით და კვირასაც არ აცდენს, რათა ფული შემოინახოს, საქართველოში დარჩენილ მის შვილებს და შვილიშვილებს დაეხმაროს და დაბრუნებისას, რის მტკიცე იმედი მას ყმაწვილკაცივით აცხოველებდა, ადადგინოს მტრის მიერ დანგრეული თავისი კერა. ეს საკვირველი მოხუციც ჩართული იყო სახალხო მოძრაობაში: გურიის ყოველი კუთხის, თვითეული ბილიკის საუცხოოთ მცოდნე და იშვიათ მოსიარულე, ის ზშირათ დაუფასებელ სამსახურს უწევდა დევნილ მებრძოლთ. მტერმაც გაუგო ეს, დაუწყო დევნა და ეფრემმაც ფეხზე გამოასწორო ჩეკას საქართველოდან. ყოველივე პარტიის გარეშე მდგომი მოხუცი ადგზნებული იყო თავისი ქვეყნის და თავისი კუთხის სიყვარულით. მას ღრმად სწამდა, რომ თავისუფლების დღეს მოესწრებოდა და თავისიანებინი გარშემორტყმული შშობლიურ კუთხეში მოიპოვებდა საუკუნო განსვენებას. სამარცხვინოთ, დაბრმავებულ ქართველის მიერ გასროლილმა ბრმა ტყვიამ მოხუცის სიფლავიც უცხოეთში გაგვათხოვევინა.

არა მარტო ოდენკურელ ემიგრაციისათვის, არამედ მთელი ქართველი ემიგრაციისთვის უცხოეთში სატირალი და ასზრუნავი ეს ორი სიფლავი. რამდენი ზნეობრივი ძალა გვეპირია რომ სიბნელეე და უგუნურება დავთრგუნოთ, მას გასაქანი არ მივცეთ და მტერი ისევ არ გავაბაროთ. ყველაზე მეტი სიფიზნელე და სიმტკიცე გვმართებს ჩვენს სოციალდემოკრატიულ წრეებში: ვისაც მეტი აქვს, მეტი მოეთხოვება.

ფ. მ.

ევროპაში.

კრიზისი გერმანიაში და კომუნისტების საქმიანობა. საყოველთაოთ ცნობილია, რომ ეკონომიურ კრიზისის ხანა, რომელსაც თან ახლავს უმუშევრობა და მუშათა ორგანიზაციების შესუსტება, აიძულებს პროლეტარიატს მთელი ყურადღება და ენერგია ამ ტკივილთა შემსუბუქებას მიაპყრას, უმუშევართ მოუპოოს, სული კბილით შეინარჩუნოს, ერთი სიტყვით თავდაცვითი ტაქტიკა აწარმოოს. მით უმეტეს აუცილებელი ვახდა მოქმედების ასეთი ხაზი გერმანიის მუშათა კლასისათვის, როცა უმუშევართა რიცხვი 2 მილიონს გადასცილდა. პროლეტარიატის ყველა ორგანიზაციები, პოლიტიკური თუ ეკონომიური, მთელ თავის ძალას და გავლენას იყენებენ, რათა, რამდენათაც კი შესაძლებელია, უზრუნველჰყონ უმუშევრები, შეამსუბუქონ მათი გაჭირვება. ამისათვის იღწვის სოც.-დემოკრატიული პარტია სახელმწიფო და ადგილობრივ წარმომადგენლობითი ორგანოებში. ამას ახმარებენ მთელ თავის მატერიალურ და ორგანიზაციულ საშუალებებს გერმანიის პროფ. კავშირები. მაგრამ აქაც, ამ საქმეში თავის პირდაპირ მტერზე—კაპიტალისტთა კლასზე—უფრო მეტათ უშლის მათ ხელს კომუნისტური პარტია, რომელიც პროლეტარიატის უბედურებას, უსასტიკეს კრიზისს და უმუშევრობას უყურებს მხოლოდ, როგორც საშუალებას მოსკოვიდან ნაკარნახევ დემაგოგიურ მიზნების უკეთ განსახორციელებლათ. ეს მიზანი და საშუალებიც ძველი და კარგათ ცნობილია: კომუნისტიური ბანაკი გვაღენის გარეშე მდგომ მძლავრე პროფ. კავშირების დასუსტება და დაშლა, სოც.-დემოკრატიულ პარტიისათვის სახელის გატეხა, მათ წინააღმდეგ მასის აშეგრება, კრიზისით გამოწეულულ გაჭირვების მოსკოვის სასარგებლო პოლიტიკურ გამოსვლებისათვის გამოყენება და სხვა.

ისინი მოუწოდებენ მუშებს ახალ-ახალ გაფიცვებისაკენ მაშინ, როდესაც ფაბრიკა-ქარხნების მთელი რიგი თავისთავად იხურება და გაფიცვას უეჭველი დამარცხება მოელის. ასეთი მოწოდებანი მიმართეს მათ, მაგალითათ რეინ-ვესტფალიის მუშებს და როცა ამ უზარო და მავნებელ საქმეში პროფ. კავშირები ვერ ჩაითრიეს, მიიტანეს იერიში საქართხნო საბჭოებზე. «ეკონომიურ ბრძოლის რაც შეიძლება ფართო მასშტაბით მოწყობა» ყოფილა თურმე საჭირო და აუცილებელი ამ უსაშინელეს კრიზისის დღეებში. და ვითომც ამ მიზნისათვის, კომუნისტები მოუწოდებდენ მუშებს მოაწყონ ფაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკა-ქარხნებში «საერთო ფრონტის» კომიტეტები, საცა, რა თქმა უნდა, მათ, კომუნისტებს, უნდა ექნესთ ხელმძღვანელობა. გერმანიის პროფ. კავშირების ცენტრი სამართლიანათ მიუთითებს მუშებს კომუნისტების ამ ინიციბზე. «ვინც ამ კომიტეტებში ითანამშრომლებს, ამბობს ცენტრი, ზიანს მიაყენებს გერმანიის პროფ. კავშირთა მთლიანობას, რომელიც სრულიად არ საჭიროებს კომუნისტთა მონაწილეობას... არც რეფერენდუმის კამპანიისთვის, არც პროფესიული ბრძოლისთვის არ გვესაჭიროება ჩვენ საერთო ფრონტის კომიტეტები. ესენი სპირია მხოლოდ კომუნისტებს და ვინც მათ ხელს შეუწყობს, ის იქნება პროფ. კავშირებსო».

მაგრამ «საერთო ფრონტის» და გაფიცვა-დემონსტრაციების ლოზუნგები საკმარისი არ აღმოჩნდა მძლავრ პროფესიულ კავშირების დასანგრევად. ამიტომ კომუნისტებმა უმეშვერებს საშვალებით სცადეს თვით პროფ. ორგანიზაციებზე პირდაპირი იერიშის მიტანა: ფაშოაყენეს მოთხოვნილება—აქამდე პროფ. კავშირების გარეშე მდგომი უმუშვერები დაშვებულ იქნან კავშირებში შედავთიან პირობებში, ე. ი. წესების დარღვევითო. მკითხველი ადვილათ მიხვდება, თუ რა შედეგი უნდა მოეტანა კავშირების წესდების გაბათილებას, ათეული წლებით აგებულ და ჩამოყალიბებულ კავშირებში შემოხვევითი ხალხის დაშვებას, რომელთაც არც ტრადიცია აქვთ ორგანიზაციის, არც პროფ. დისციპლინას არიან ჩვეულნი. მაგრამ აქაც კომუნისტების ოინი ჩაიშალა და ჩაშალეს ის თვით უმუშვერებმა. მათ კრებებზე პროფ კავშირების მოდგაწეებმა ადვილათ დაამტკიცეს, რომ კომუნისტების სადემაგოგიო მოთხოვნილების განხორციელება შეარყევდა პროფ. კავშირების ორგანიზაციის საფუძველს, შეიტანდა არევ-დარევას დარაზმულ პროლეტარიატის რიგებში, დასუსტებდა მის მთავარ მებრძოლ ორგანიზაციის ძლიერებას და აენებდა უპირველესად თვით უმუშვეართ. უკანასკნელთა დიდი უმრავლესობა ამ აზრს მიემხრო და კომუნისტები კიდევ ერთხელ გაწბილებული დარჩენ.

უმუშვერობით სარგებლობენ კომუნისტები, როგორც პროფ. კავშირების წინააღმდეგ, ისე თავის პოლიტიკურ მიზნებისთვის. გერმანიის კომპარტიამ კარგათ იცის, რომ ის ვერ აიყო�rიებს გერმანიის მუშათა კლასს ერთთ ლიგის და ხალხთა მორიგების წინაააღმდეგ. ამიტომ ის ასეთ გზას ადგება: მიმართავს დამშეულ უმუშვეართ და მოუწოდებს მათ სადემონსტრაციოთ ვითომ უმუშვეერობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ლოზუნგი მხოლოდ მოსატყუებელი ანკესია, სხვათა შორის წამოყენებული, ნამდვილ და მთავარ მიზანს დემონსტრაციისას კი ამყოვანებს სხვა ლოზუნგები, რომლებიც ღაღადებენ «გერმანიის ერთთ ლიგაში შესვლის წინააღმდეგ», «საბჭოთა რუსეთთან კავშირისა მოთხოვნას და სხვ... და თუ ოინმა რამდენიმეთ გასჭრა და უმუშვეარნი გამოცხადდენ საპროტესტოთ თავიანთი გაეიერების წინააღმდეგ, მოსკოვს დიდის ამბით ეგზავნება ცნობა, გერმანიის პროლეტარიატი ილაშქრებს ერთთ ლიგის წინააღმდეგ და მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან დაკავშირებასო.

ასე, გერმანიის პროლეტარიატის უდიდეს გასაჭირს და ტკივილებს კომუნისტები ამსახურებენ საბჭოთა რუსეთის ნაციონალისტურ პოლიტიკას.

ინგლისის «დამ. მუშ. პარტ.» წინაადადება და სოც. ინტერნაც. (მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის ბიულეტენიდან). ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა გადასწყვიტა წარუდგინოს მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის ეგზეკუტივის უახლოეს სხდომას შემდეგი დადგენილება:

«იღებს რა მხედველობაში მუშათა კლასის სოლიდარობის დაუყოვნებლივ საჭიროებას კაპიტალისტურ-იმპერიალისტური რეაქციის და ფაშიზმის საშიშროების წინააღმდეგ ევროპაში, დამოუკიდებელი მუშათა პარტია წინადადებას იძლევა, რომ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამართოს საერთო კონფერენცია მესამე ინტერნაციონალთან, რათა ამ კონფერენციაზე გათვალისწინებულ იქნას გაერთიანებული ინტერნაციონალის დაარსების შესაძლებლობა.»

ეს წინადადება წარედგინა განსახილავათ ჯერ მუშათა სოც. ინტერნაციონალის ინგლისურ სექციას, რომელიც შესდგება ინგლისის მუშათა პარტიის ორ დელეგატისაგან (ჰენდერსონი და კრამპი) და «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ერთთ წარმომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენელისაგან (ფენნერ ბროკვეი). მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ეკონომიურ დასტური მისცეს რეზოლიუციას. ამნაირათ, რადგან ინგლისური სექციის უმრავლესობა რეზოლიუციის წინააღმდეგია, ის წარედგინება ინტერნაციონალის აღმ. კომინტერს არა როგორც ინგლისური სექციის, არამედ როგორც (დამ. მუშ. პარტიის» წინადადება.

ვნახოთ, როგორ ასაბუთებენ თავის შეხედულებას ერთი და მეორე ინგლისურ პარტიის წარმომადგენელები. «დამ. მუშათა პარტიის» შეხედულება გამოთქმულ იქნა ამ პარტიის ორგანო «ნიუ ლიდერ»-ში. ამ შეხედულებით ორივე ინტერნაციონალების გაერთიანების იმედს იძლევა ის ფაქტი, რომ «რუსეთის კომ. პარტიამ არა ეროსულ დაამტკიცა, რომ ის მზათაა შესცვალოს თავისი პოლიტიკა შეცვლილ გარემოებათა მიხედვით, რის მაგალითს წარმოადგენს ნეპი (ახალი ეკონომ. პოლიტიკა); რომ მესამე ინტერნაციონალის «თეზისები» მიღებულ იქნენ ომის შემდეგ წლების რევოლიუციურ ასხოლოგიის პერიოდში; რომ რეალიზმის გავლენის ქვეშ კომუნისტურმა პარტიამ უნდა გაითვალისწინოს გარემოებათა შეცვლა და აღიაროს, რომ შეიარაღებული რევოლიუცია არ შეადგენს «გარდაუვალ» პროცესს. «დამოუკიდებელი მუშათა პარტია» ფიქრობს, რომ კომუნისტთა შორის არსებობს სხვადასხვა ტენდენციები, რომელნიც, მისი აზრით. კომუნისტურ აზროვნების ცვლილებას მოწმობენ; ეს ცვლილება, ვითომდა ხდება ის მხრით, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალმა უნდა შეიგნოს, რომ გზა სოციალიზმისაკენ განსხვავებულია სხვადასხვა ერთათვის, რომლებიც სხვადასხვა პირობებში ცხოვრობენ. კერძოთ, «დამ. მუშ. პარტია» მიუთითებს, რომ «ზინოვიევმა და მესამე ინტერნაციონალის უკიდურესმა ლიდერებმა ამ ბოლო დროს საგრძნობლათ დაჰკარგეს თავისი გავლენა.»

თავის მხრით. ინგლისის მუშათა პარტიის აზრის გამომხატველი, ჰენდერსონი, ინგონებს ბერლინში 1922 წლის აპრილში მომხდარ სამი ინტერნაციონალის ეკზეკუტივების კონფერენციის გაკვეთილებს, საცა კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა ნათლათ განაცხადეს. «რომ ორგანიული ერთობა პროლეტარიატის თანამედროვეს საერთაშორისო შეჯგუფებათა, რომლებიც სხვადასხვა პირნეკპებით ხელმძღვანელობენ. იქნებოდა სრულიად უტოპიური და მავნებელი». ჰენდერსონი ასე ათავებს თავის წერილს: «შეიძლება მოიყვანონ ის მოსაზრება, რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მიერ გაბნრახული დისაკუსიები რამოდენიმეთ ხელს შეუწყობენ მდგომარეობის გარკვევას ზოგიერთ სოციალისტებისთვის ინგლისში. მაგრამ კონტინენტზე სოციალისტები არ საჭიროებენ გარკვევას იმ კითხვებში, რომელთა წამოყენება სურს დამოუკიდებელ მუშათა პარტიას. სავალალოა, თუ სხვებს (იგულისხმება ინგლისელ სოციალისტების ნაწილი) არ ძალუძთ «გაერკვევ» უმიოსოთ, რომ კომუნისტურ ტაქტიკოსებს არ გაუხსნან ახალი არე მნეოვრებისა და არ შეუქმნან სოციალისტურ პარტიებს და კერძოთ ინგლისის მუშათა პარტიას უზომო არევდარევის და ზიანის მიზეზები მოყლეთ, დამოუკ. მუშათა პარტიის წინადადება მართლაც რომ «უტოპიური და მავნებელია.» ჩვენ და კომუნისტურ ინტერნაციონალს არ მოგვეპოვება ის მინიმუში აუცილებელ თანხმობისა,რომელიც საჭიროა თვით საერთო კონფეერენციისთვისაც კი.»

ასეთია შეხედულება თვით ინგლისის მუშათა პარტიისა «დამ. მუშ. პარტიის» მიერ წამოყენებულ წინადადებაზე. რაც შეეხება ევროპის პარტიებს, როგორც ჰენდერსონი მოწმობს, ისინი «გადაჭრით წინააღუდგებიან ამ წინადადებას ეგზეკუტივის უახლოეს სხდომაზე.

საინტერესოა, რომ კომინტერნმაც თავის მხრით უკვე გააწბილა გულუბრყვილო ინგლისელები და დაადასტურა ჰენდერსონის აზრი—ახალი ცდის უაზრობისა და მავნებლობის შესახებ. მესამე ინტერნაციონალის გაფართოებულ ეკზეკუტივის უკანასკნელ სხდომაზე (თებერვალში) ეკზეკუტივის ინგლისელი წევრი, ბროუნი, ამბობდა: «დამ. მუშათა პარტიის წინადადება მეორე და მესამე ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ, რა თქმა უნდა შეუძლებელია, მაგრამ პარტიამ თავის სასარგებლოთ უნდა გამოიყენოს იგი»-ო. და თვით ზინოვიევიც საქვეყნოთ აცხადებს ამავე წინადადების სასასუხოთ: «... ჩვენ დაუფიქრებლათ შეგვიძლია ვუპასუხოთ: არა.» და კიდეკ: «ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ კატეგორიული უარით ვუპასუხოთ. დღევანდელ პირობებში ჩვენ უნდა შევასრულოთ ძირითადი ამოცანა, ეს არის მუშათა კლასის ერთობა ლენინიზმის ნიადაგზე. კომინტერნის ნიადაგზე, რომელსაც ჯერჯერობით არ ყავს მუშების უმრავლესობა, მაგრამ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ამ უმრავლესობას მოიპოვებს და გაანთავისუფლებს მუშათა კლასს კაპიტალიზმის ულლისაგან.» ზინოვიევის ამ სიტყვებს, სხდომა, ოფიციალური ანგარიშის თანახმათ, შეგებებია «აღფრთოვანებული ტაშით», რაც მოწმობს, რომ მის პოზიციას იზიარებს კომინტერნის მთელი ეჯხეკუტიცი.

ᲕᲘᲜ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲞᲔᲠᲡᲔᲚᲘ? ინგლისის ტრედუნიონების თავმჯდომარე, პერსელი, 1924 წელში ესტუმრა საბჭოთა რუსეთს ინგლისელ ტრედუნიონისტების დელეგაციასთან ერთათ, როგორც მისი თავმჯდომარე; აქ ის «ბოხიბდა» ბოლშევიკურ «რეკონსტრუქციის მიღწევებმა», საბჭოთა საქმიანობამ მუშათა კლასის სასარგებლოთ და გუშინდელი ოპორტუნისტები გახდა ერთი მთავარ მოციქულთაგანი ამსტერდამის და წმიდელ კავშირების გაერთიანების, მოსკოველთა გულმოდგინე და დაუღალავი დამცველი ევროპა-ამერიკაში.

ასეთი იყო საერთო აზრი პერსელის «მოქცევის» შესახებ. ამ რამდენიმე კვირის წინ ჰოლანდიის სოციალდემოკრატიულ ორგანომ «ᲐᲮᲪᲐ ფოლკ»-მა, გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც ნათელყოფს, რომ მთელი «პერსელიადა» ყოფილა უბრალო თვალმაქცობა, ჩვეულებრივი ბოლშევიკური ოინი და მეტი არაფერი. პერსელი უკვე 1920 წელში მოდგაწეობდა ფარულთა როგორც კომუნისტი. მაშინ არ იყო არც «წითელი პროფინტერნი», არც განხეთქილება ევროპის პროფ. მოძრაობაში. მაგრამ განხეთქილების გამოწვევა უკვე მიზნათ ჰქონდათ დასმული მოსკოველებს და ამ მიზნის განსახორციელებლათ მათ გამართეს 1920 წლის ივლისში კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ რუსები და ინგლისელები და იტალიელები. ამ კონფერენციის მთავარი და აქტიური მონაწილეთაგანი იყვენ—ლოზოვსკისა და ტომბოლისთან ერთათ—ინგლისელები, პერსელი და ვილიამსი. აქ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის შესავალი ეკუთვნის პერსელს და ვილიამს. აი ამ შესავალის ტექსტი:

«დიდი ბრიტანეთის, რუსეთის და იტალიის მებრძოლ პროფესიულ მოძრაობის რევოლიციურ ხელმძღვანელთა არაოფიციალური კონფერენცია აღიარებს, რომ პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო ფედერაცია (ამსტერდამის) უძლურია კლასთა ბრძოლას უხელმძღვანელოს და საერთაშორისო ბურჟუაზია დაამხოს პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით. ამიტომ ის ადგენს—მოიწვიოს გაფართოებული კონფერენცია რევოლიციურ პროფ. მოღვაწეთაგან პროფ. კავშირების ᲣᲛᲐᲠᲘᲐᲗᲘ ინტერნაციონალის დასაარსებლათ, რომელიც დამოუკიდებელი იქნება, როგორც კაპიტალისტურ ერთა ლიგისაგან, აგრეთვე იმ მუშათა ხელმძღვანელთაგან, რომლებიც მსოფლიო ომის დროს სოციალ-პატრიოტები და შოვინისტები იყვენ და ეხლაც იმავე პოლიტიკას განაგრძობენ, მაგრამ, ამავე დროს, კონფერენცია გმობს ყოველივე ცდას აინსებულ კლასთა ბრძოლის ორგანიზაციებიდან გამოთიქვეისას და წინადადებას აძლევს ყველას, ვინც რევოლიციურ კლასიურ ნიადაგზე სდგას, დაეინებით და სისტემატიურათ, ყველა იმ საშვალებათა გამოყენებით, რომელნიც მუშათა კლასს ხელთ აქვს, იმუშაოს ორგანიზაციების შიგნით კომუნისტურ ინტერნაციონალის ხაზით».

ამგვარათ, ბ-ნი პერსელი, 1920 წლიდან ინგლისის და მსოფლიო მუშათა მოძრაობაში მოდგაწეობს, როგორც კომინტერნის დავალების აღმსრულებელი, ესე იგი ამ მოძრაობის დეზორგანიზატორი და დამრღვევი. ამიერიდან ქართველ მუშათა კლასს და მთელ ქართველ ხალხსაც ეცოდინება, რომ ე. წ. ინგლისის დელეგაციის სახით საქართველოს მოეკვლინა არა ინგლისელი ტრედუნიონისტები, არამედ კომინტერნის ძველი მოღვაწე, რომელსაც წინასწარ ჰქონდა დავალებული საქართველოს ოკუპანტებისაგან, გამოეყენებინა ინგლისელ მუშათა წინამძღოლის ფიქმა, რომ სახელი გაეტეხა ქართველ ხალხისა და მის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის.

მᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ. (მუშ. სოც. ინტ—ის ბიულეტენიდან). სოციალურ კანონმდებლობის განვითარებამ, განსაკუთრებით 8 საათის სამუშაო დღის განხორციელებამ, ხელი შეუწყო ამ უკანასკნელ წლეებში მუშათა კულტურულ და სასპორტო ორგანიზაციების სწრაფ ზრდას. სასპორტო მოძრაობა მუშათა შორის ცდილობს შემოიკრიბოს სპორტით გატაცებული მუშები და განაცალკევოს ისინი ბურჟუაზიულ სასპორტო საზოგადოებებისაგან, რომლებიც მომე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ტებულათ მუშათა კლასისადმი მტრული იდეოლოგიით არიან გამსჭვალული. სხვადასხვა ეროვნული სასპორტო ორგანიზაციები გაერთიანებული არიან საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელშაც მიიღო შემდეგი სახელწოდება: «შრომის ფიზიკური და სპორტიული აღზრდის სოციალისტური ინტერნაციონალი», ანუ შემოკლებით «ლუკარნოს ინტერნაციონალი». გარდა მრავალ მცირერიცხოვან ჯგუფებისა მუშათა სპორტის ინტერნაციონალს ემხრობიან შემდეგი ეროვნული ორგანიზაციები: გერმანიის—917,7 ათასი წევრი, ავსტრიის—141 ათასი, ჩეხოსლოვაკიის—143.188, ფინლიანდიის—33,6 ათასი, შვეიცის—16.800, ბელგიის—16.100, საფრანგეთის—17.402.

არსებობს აგრეთვე ე. წ. «ფიფილი სასპორტო ინტერნაციონალი» (ბოლშევიკური), რომელსაც რუსეთის გარეშე, მხოლოდ გერმანიაში და ჩეხოსლოვაკიაში ემხრობა უმნიშვნელო ჯგუფები. ლუკარნოს ინტერნაციონალის დადგენილებით, მის წევრებს არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ფიფილ სასპორტო ორგაეიზაციების მიერ გამართულ ვარჯიშობაში იმ ქვეყნებში, საცა ლუკარნოს ინტერნაციონალის განყოფილება არსებობს. ივლისში და აგვისტოში სოციალისტური სასპორტო ინტერნაციონალი გამართავს საერთაშორისო სასპორტო დღესასწაულებს ვენაში და ბერნში.

შვეიცარიის პროფ. კავშირები «დელეგაციების» წინააღმდეგია. როგორც ევროპის ყველა სხვა ქვეყნებში, შვეიცარიაშიაც მოსკოვი ადგილობრივი დამქაშების საშუალებით დიდი ხანია აწარმოებს აგიტაციას საბჭოთა რუსეთში «მუშათა დელეგაციის» გაგზავნის სასარგებლოთ და ცდილობს ამ საქმეში ჩაითრიოს მუშათა ორგანიზაციები, განსაკუთრებით შვეიცარიის პროფ. კავშირები. ამ უკანასკნელთა ცენტრალურ ორგანიზაციის სინდიკალურმა კომისიამ გამოიტანა ამ საკითხის შესახებ შემდეგი დადგენილება:

«შვეიცარიის სინდიკალურ კომისიამ, 4 მარტის სხდომაზე ოლტენში, განიხილა საკითხი შესახებ საინიციატივო კომიტეტის დაარსებისა ზოგიერთ სინდიკალურ (პროფესიულ) ორგანიზაციის მონაწილეობით რუსეთში დელეგაციის გაგზავნის მოსაწყობათ.

სინდიკალური კომისია აღნიშნავს, რომ ამ კომიტეტში მონაწილეობა ეწინააღმდეგება იმ ორგანიზაციის ძირითად დებულებებს, რომლის უმცირესობა უმრავლესობის დადგენილებას უნდა ემორჩილებოდეს, რაიცა სავალდებულოა აგრეთვე სინდიკალურ კავშირისათვის (შვეიცარიის პროფ. ორგანიზაციების კავშირი). სინდიკალური კომისია აცხადებს რომ ის არ აპყვება ამგვარ კომიტეტის მოქმედებას, რომელსაც განსაზღვრული პოლიტიკური პარტია (იგულისხმება კომპარტია) ხელმძღვანელობს და არ მიიღებს მონაწილეობას ამ წესით მოწყობილ მოგზაურობაში.

იღებს რა მხედველობაში, რომ ასეთი უპრეზიდენტო მოგზაურობა ვერ მიაღწევს შვეიცარიის მუშათა კლასის მიერ დასახულ მიზანს—რუსეთის ეკონომიური, პოლიტიკურ და კულტურულ პირობების გაცნობას—სინდიკალური კომისია ურჩევს შეკავშირებულ მუშათა კლასს არ დაუჭიროს მხარი საინიციატივო კომიტეტის საქმიანობას არც პროფესიულ ორგანიზაციების კასიდან ფინანსიური დახმარების გაღებით, არც საჯარო ხელისმოწერით, არც სხა რაიმე სახით.

რუსეთში დელეგაციის გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო პროფესიულ ინტერნაციონალის (ამსტერდამის) შემადგენელ ორგანიზაციების დასტურით.»

გამოგზავნილია უცხოეთში.

გამოვიდა და იყიდება ქართულ ენაზე:

1) კ. კაუცკი—«ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი» . . ფასი 3 ფრ.
2) ნ. ყორანა—«ჩვენი ტაქტიკა» . . . . . « 1 «
3) უწყება საქ. ს.-დ. მ. პ. მე-III არალეგალურ ყრილობისა . . « 1 «

Rédaction et Administration:
M-r. D. Charachidsé.
8. Cité Rondelet. Montrouge (Seine)

Le Gérant: G.-A. Bernard.

Imprimerie A. Lejeune. 95, Grande Rue. Arpajon (S. et. O.)